პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 27 აპრილი, 1951 წ. № 99 (8953). ფასი 20 კაპ.

— ყველა ქვეყნის მშრომელნო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! გააფართოვეთ და განამტკიცეთ მშვიდობის მომხრეთა მძლავრი ფრონტი!

— მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრენო! ამხილეთ და ჩაშალეთ ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი და სხვა მილიონერებისა და მილიარდერების სამხედრო აგრესიის დანაშაულებრივი გეგმები! ნებას ნუ მისცემთ ომის გამჩაღებლებს სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხთა მასები, მოატყუონ და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ ისინი!

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების, თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

# მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა 1951 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს—მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

2. ძმური სალამი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლ ყველა ხალხს!

3. ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც მტკიცედ მიდიან წინ თავიანთი ქვეყნების ეკონომიური და კულტურული აღმავლობის გზით, სოციალიზმის მშენებლობის გზით!

4. გაუმარჯოს დიდ ჩინელ ხალხს, რომელმაც მოიპოვა თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა და წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას!

ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!

5. ძმური სალამი თავისუფლებისმოყვარე კორეელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უცხოელ დამპყრობთა შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ!

6. სალამი გერმანიის დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის!

7. სალამი იუგოსლავიის სახელოვან პატრიოტებს, რომლებიც ეწევიან განმათავისუფლებელ ბრძოლას იუგოსლავიაში ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, იმპერიალისტებისაგან თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის!

8. ძმური სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

9. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში!

10. ყველა ქვეყნის მშრომელნო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! გააფართოვეთ და განამტკიცეთ მშვიდობის მომხრეთა მძლავრი ფრონტი!

11. მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრენო! ამხილეთ და ჩაშალეთ ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი და სხვა მილიონერებისა და მილიარდერების სამხედრო აგრესიის დანაშაულებრივი გეგმები! ნებას ნუ მისცემთ ომის გამჩაღებლებს სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხთა მასები, მოატყუონ და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ ისინი!

12. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას—ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების, თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას!

13. დიდება საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე!

14. გაუმარჯოს საბჭოთა მესაზღვრეებს—ჩვენი სამშობლოს წმიდა საზღვრების ფხიზელ გუშაგებს!

15. საბჭოთა კავშირის მუშებო, გლეხებო, ინტელიგენციავ! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის! მშვიდობიანი შრომის ახალი საგმირო საქმეებით განამტკიცეთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება!

16. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ვოლგაზე და დნეპრზე, დონზე და ამუ-დარიაზე დიად მშენებლობათა წარმატებით განხორციელებით ახალი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში!

17. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო გაბედულად დანერგეთ წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! სრულყოფილად დაეუფლეთ ტექნიკას! მიაღწიეთ მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში მანქანებისა და მოწყობილობის სრულ გამოყენებას!

18. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! განუწყვეტლივ ზარდეთ შრომის ნაყოფიერება! იბრძოლეთ ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის უმკაცრესი მომჭირნეობისათვის! შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

19. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ახალი ტექნიკის რაც შეიძლება მეტად გამოყენებისათვის და ქვანახშირის ამოღების ყველა პროცესის სრული მექანიზაციისათვის! ლავებში მუშაობა მოაწყეთ ციკლურობის გრაფიკით! უფრო ჩქარა აშენეთ ახალი შახტები! მივცეთ მეტი ქვანახშირი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას!

20. ნავთის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად ბურღეთ ჭაბურღილები, უფრო მალე აითვისეთ ნავთის ახალი საბადოები! გააძლიერეთ ახალი ნავთგადამმუშავებელი ქარხნების მშენებლობის ტემპი! მივცეთ მეტი მაღალი ხარისხის ნავთპროდუქტები სოციალისტურ მეურნეობას!

21. შავი და ფერადი მეტალურგიის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ლითონის წარმოების ახალი გადიდებისათვის! მთლიანად გამოიყენეთ აგრეგატებისა და მექანიზმების სიმძლავრენი! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი ლითონები!

22. ელექტროსადგურების მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად ჩააყენეთ მწყობრში ახალი ენერგეტიკული სიმძლავრენი! უფრო ფართოდ დანერგეთ ახალი ტექნიკა! უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი მომარაგება ელექტროენერგიით!

23. მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! აღჭურვეთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა მოწინავე ტექნიკით! იბრძოლეთ ლითონის მომჭირნეობისათვის! მივცეთ მეტი მანქანები მრეწველობას, მშენებლობებს, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას!

24. საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! აამაღლეთ წარმოების კულტურა, გააუმჯობესეთ ავტომობილებისა და ტრაქტორების ხარისხი!

25. ქიმიური მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის! გაადიდეთ მინერალური სასუქების წარმოება! გააფართოვეთ ქიმიური პროდუქტების ასორტიმენტი და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი!

26. გემთმშენებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გააუმჯობესეთ გემთმშენებლობის ტექნიკა! უფრო ჩქარა აშენეთ ხომალდები! შევქმნათ საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი ფლოტი!

27. მშენებელო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაეუფლეთ ჩქაროსნული მშენებლობის ტექნიკას! უფრო ჩქარა აშენეთ ახალი საწარმოები, ბინები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი! შეამცირეთ მშენებლობის თვითღირებულება და გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

28. საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მთლიანად გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრენი! აითვისეთ ახალი სახეობის საშენ მასალათა წარმოება! მივცეთ ჩვენი სამშობლოს მშენებლობებს მეტი ცემენტი, აგური, მინა, სახურავი, მოსაპირკეთებელი და სხვა მასალები!

29. სატყეო, ხისდამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გააუმჯობესეთ მექანიზმების გამოყენება, შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების საქმეში! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ხე-ტყის მასალა, ავეჯი, ქაღალდი!

30. მსუბუქი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო ფართოდ დანერგეთ შრომის მოწინავე მეთოდები! იბრძოლეთ ნედლეულის მომჭირნეობისათვის, მასობრივი მოხმარების საქონლის მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტისათვის! მივცეთ მოსახლეობას მეტი ქსოვილი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ტრიკოტაჟი და სხვა საქონელი!

31. კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ კვების პროდუქტების წარმოება, გააუმჯობესეთ მათი ხარისხი! იბრძოლეთ ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის! მივცეთ მოსახლეობას მეტი შაქარი, ცხიმეული, ხორცი, რძისა და სხვა პროდუქტები!

32. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზჭერა, გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და გააფართოვეთ მისი ასორტიმენტი! იბრძოლეთ სარეწაო ფლოტისა და თევზჭერის იარაღების უკეთ გამოყენებისათვის! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალხარისხოვანი თევზის პროდუქტები!

33. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! დაამზადეთ ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების მეტი საქონელი! შეამცირეთ ნაწარმის თვითღირებულება, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი! უკეთ მოემსახურეთ მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებას!

34. საბჭოთა გეოლოგებო—წიაღის მძიებელნო! უფრო ჩქარა გამოავლინეთ ჩვენი სამშობლოს უშრეტი სიმდიდრე!

35. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! გაადიდეთ ვაგონების დატვირთვა, დააჩქარეთ მათი ბრუნვა, შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება, გააუმჯობესეთ რემონტი! იბრძოლეთ მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის ზუსტად შესრულებისათვის! გააძლიერეთ რკინიგზის მშენებლობის ტემპი და გააუმჯობესეთ მისი ხარისხი! გააუმჯობესეთ მგზავრების მომსახურება!

36. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! მოაწყეთ ნავსადგურებისა და ნავმისადგომების ზუსტი მუშაობა! დააჩქარეთ გემების ბრუნვა, შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება! იბრძოლეთ 1951 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის!

37. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! მივაღწიოთ 1951 წელს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის მნიშვნელოვან გადიდებას, პირუტყვის სულადობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას! შევქმნათ სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა — მრეწველობისათვის!

38. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! სანიმუშოდ მოვაწყოთ საგაზაფხულო თესვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები! მოვიყვანოთ უხვი მოსავალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელ ნათეს ფართობზე!

39. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! ფართოდ დანერგეთ წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევები და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მოწინავე გამოცდილება! ამრავლეთ სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავეთა რიგები!

40. კოლმეურნეებო! მთლიანად გამოიყენეთ მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობანი! ამრავლეთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრე, განამტკიცეთ შრომის დისციპლინა! წმიდად დაიცავით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება—საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი!

41. სოფლის მეურნეობის მშრომელებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტებო, კომბაინერებო, მექანიკოსებო! იბრძოლეთ ტექნიკის სრული გამოყენებისათვის! გაადიდეთ ტრაქტორებისა და კომბაინების გამომუშავება! გააუმჯობესეთ მინდვრის სამუშაოთა ხარისხი, იბრძოლეთ უხვი მოსავლის მოსაყვანად!

42. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო, ზოოტექნიკოსებო და ვეტერინარო მუშაკებო! ყოველმხრივ განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, გაადიდეთ პირუტყვის სულადობა, გაზარდეთ მისი პროდუქტიულობა! შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობისათვის!

43. სასოფლო და სატყეო მეურნეობის მუშაკებო! ყოველნაირად განავითარეთ მუშაობა ტყის ზოლების გასაშენებლად! უფრო სწრაფად აითვისეთ სწორი თესლბრუნვა, დანერგეთ რწყვის ახალი სისტემა, აშენეთ გუბურები და წყალსატევები! უზრუნველვყოთ უხვი და მყარი მოსავალი!

44. მებამბეობის კოლმეურნეობათა წევრებო, მებამბეობის საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებო! იბრძოლეთ ბამბის უხვი მოსავლისათვის! მოიყვანეთ მეტი ბამბა მრეწველობისათვის!

45. საბჭოთა ვაჭრობის, კოოპერაციის, საზოგადოებრივი კვების მუშაკებო! ყოველმხრივ გააჩაღეთ კულტურული საბჭოთა ვაჭრობა ქალაქად და სოფლად! გააუმჯობესეთ საბჭოთა მომხმარებლის მომსახურება!

46. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენო! გააუმჯობესეთ საბჭოთა აპარატის მუშაობა, განამტკიცეთ სახელმწიფო დისციპლინა, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებს!

47. სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლესი სკოლის მუშაკებო! იბრძოლეთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის! უფრო გაბედულად განავითარეთ შემოქმედებითი კრიტიკა და თვითკრიტიკა მეცნიერულ მუშაობაში! ახალი გამოკვლევებით, აღმოჩენებით და გამოგონებებით გაამდიდრეთ მეცნიერება და ტექნიკა! გააუმჯობესეთ სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების ხარისხი!

48. ლიტერატურის, ხელოვნების, კინემატოგრაფიის მუშაკებო! აამაღლეთ თქვენი ოსტატობის დონე, შექმენით დიდი საბჭოთა ხალხის შესაფერისი ახალი მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებნი!

49. მასწავლებლებო, სახალხო განათლების მუშაკებო! შეაიარაღეთ მოსწავლენი მეცნიერების საფუძვლების ცოდნით! აღზარდეთ ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, მოამზადეთ კომუნიზმის აქტიური მშენებლები!

50. მედიცინის მუშაკებო! იბრძოლეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის! სრულყავით თქვენი ცოდნა მოწინავე მეცნიერების საფუძველზე! დანერგეთ საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების მიღწევები ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში!

51. საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის! განუწყვეტლივ იზრუნეთ მუშათა და მოსამსახურეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის! გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

52. საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ახალი აყვავებისათვის! გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს—კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

53. გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს—კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, ბოლშევიკური პარტიის საიმედო თანაშემწესა და რეზერვს!

54. ჭაბუკებო და ქალიშვილებო! დაეუფლეთ მეცნიერებას, ტექნიკას, კულტურას! იყავით მედგარნი და გამბედავნი, იყავით მზად ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად! ამრავლეთ თქვენი შრომით საბჭოთა ხალხის წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში!

55. პიონერებო და მოსწავლეებო! დაეუფლეთ მეცნიერულ ცოდნას, ემზადეთ იმისათვის, რომ გახდეთ ლენინ-სტალინის საქმისათვის მედგარი მებრძოლნი!

56. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

57. გაუმარჯოს დიად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს—ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ციხე-სიმაგრეს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ ბურჯს!

58. გაუმარჯოს კომუნისტების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, ბრძოლებში გამოწრთობილ საბჭოთა ხალხის ავანგარდს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

59. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## სოხუმის საქალაქო № 126 საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 108 მუხლის შესაბამისად დაინიშნოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები სოხუმის საქალაქო № 126 საარჩევნო ოლქში 1951 წლის 27 მაისს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1951 წ. 13 აპრილი.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 9 იანვრის ბრძანებულებით ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო № 126 საარჩევნო ოლქი შექმნილია შემდეგი შემადგენლობით:

ქ. სოხუმი და რაიონები: გაგრისა და გუდაუთისა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 11 ნოემბრის ბრძანებულებით დაწესებულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში ჩატარების დროს საარჩევნო კამპანია მოცემულ საარჩევნო ოლქში იწყება ერთი თვით ადრე არჩევნების დღემდე, ნაცვლად ორი თვისა, რაც „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებით" გათვალისწინებულია საერთო არჩევნებისათვის.

ამის შესაბამისად:

ა) ამომრჩეველთა სიებს საყოველთაო გასაცნობად მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭო გამოაკრავს 20 დღით ადრე არჩევნებამდე;

ბ) საარჩევნო უბნების შექმნა და საუბნო საარჩევნო კომისიების დამტკიცება ხდება არაუგვიანეს 25 დღისა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების დამტკიცება — არაუგვიანეს 28 დღისა არჩევნებამდე;

გ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია ხდება საოლქო საარჩევნო კომისიებში არაუგვიანეს 15 დღისა არჩევნებამდე, ხოლო ცნობები დეპუტატობის რეგისტრირებულ კანდიდატზე და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც კანდიდატი წამოაყენა, ქვეყნდება არაუგვიანეს 12 დღისა არჩევნებამდე.

## სასოფლო-სამეურნეო სკოლები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებლად

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეუდგა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელი ორწლიანი სახელმწიფო სკოლების რეორგანიზაციას. მათს ბაზაზე წელს იქმნება საშუალო სასოფლო-სამეურნეო სამწლიანი სკოლები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებლად. გარდა ამისა, იქმნება 16 ახალი სკოლა. ამ სკოლების კურსდამთავრებულთ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიენიჭებათ უმცროსი აგრონომის წოდება და მიეცემათ საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტის დიპლომი იმ უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში სწავლადამთავრებულ პირებს.

ახალი სასწავლო წლისათვის ჩვენს ქვეყანაში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებელი 118 სასოფლო-სამეურნეო სკოლა იქნება. მათი ამოცანაა აღზარდონ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და პრაქტიკის დარგში ცოდნას კარგად დაუფლებული კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები.

სკოლებთან იქმნება მუდმივმოქმედი ერთწლიანი კურსები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გადასამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კურსდამთავრებულთ და იმათ, ვინც სახელმწიფო გამოცდებს ჩააბარებს, მიენიჭებათ საკოლმეურნეო წარმოების ტექნიკოს-ორგანიზატორის წოდება. მათ უფლება ეძლევათ ექსტერნად ჩააბარონ გამოცდები სასოფლო-სამეურნეო სკოლის მთელი კურსის მოცულობით. (საკდესი).

## მ ო გ ე ბ ა თ ა ტ ი რ ა ჟ ი

29 აპრილს ქალაქ პავლოდარში გაიმართება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟი. სესხის 228 თანრიგით გათამაშდება 524.719.200 მანეთის საერთო თანხის 1.966.500 მოგება.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის შეღავათებისა და სხვა უპირატესობათა მინიჭების შესახებ. შემოწმებით გამოირკვა, რომ კასპის, ახალქალაქის, მახარაძის, თერჯოლისა და ახმეტის რაიონებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება სოფლის მასწავლებლების უფასო კომუნალური მომსახურებისა და მათთვის შეღავათების მინიჭების შესახებ. ამ რაიონებში ირღვევა დადგენილი წესი, რომელიც სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს ავალებს უშუალოდ სახლთმფლობელებთან დადონ ხელშეკრულებანი სოფლის სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის ბინების დაქირავების შესახებ. ნაცვლად ამისა მათ ხელზე აძლევენ ნაღდად ბინის ქირისათვის საჭირო თანხებს.

სოფლის სკოლების მასწავლებლებს დროზე არ უზრუნველყოფენ სათბობითა და განათებით. არადამაკმაყოფილებლად სრულდება სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმა. მაგალითად, მახარაძის რაიონში გეგმით გათვალისწინებული ოთხი სახლის ნაცვლად აშენებულია სამი. თერჯოლის, ახმეტისა და ახალქალაქის რაიონებში სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ჯერაც არ შესდგომიან.

არ სრულდება აგრეთვე გადაწყვეტილება სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის შესახებ. ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, მისი ადგილობრივი ორგანოები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა კასპის, ახმეტის, ახალქალაქის, მახარაძისა და თერჯოლის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა უმოკლეს ხანში აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი სოფლის მასწავლებელთა მომსახურებაში და განუხრელად სრულდებოდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის დადგენილება სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის შეღავათებისა და უპირატესობის მინიჭების შესახებ.

სასოფლო და სადაბო საბჭოები ვალდებული არიან 1951-1952 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სახლთმფლობელებთან დადონ ხელშეკრულებანი სოფლის სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის ბინის მიცემის შესახებ. მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე უნდა დაზუსტდეს, რამდენი სათბობი ესაჭიროებათ წლის განმავლობაში სოფლის სკოლების მასწავლებლებს იმ ანგარიშით, რომ არაუგვიანეს 1 სექტემბრისა ისინი უზრუნველყოფილ იქნან სათბობით. მათ დაევალათ აგრეთვე უზრუნველყონ სოფლის სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორების სახლები და ბინები უფასო განათებით ადგილობრივი ნორმების შესაბამისად.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე უნდა გამოიყოს საკარმიდამო ნაკვეთები სოფლის სკოლების იმ მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის, რომელთაც ასეთი ნაკვეთები დღემდე არ მიუღიათ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ ერთი თვის ვადაში შეამოწმონ, თუ როგორ ხორციელდება გადაწყვეტილება სოფლის სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ და ყველა ზომა მიიღონ ამ დარგში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მიცემულია დავალება სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმა შესრულდეს მიმდინარე წლის დამლევამდე. (საქდესი).

## არქეოლოგიურ ნაპოვნთა გამოფენა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების დარბაზებში გაიხსნა გამოფენა, რომლის მასალები გვაცნობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში უახლეს არქეოლოგიურ გამოკვლევათა შედეგებს.

ერთ-ერთ სტენდზე მოთავსებულია იმ ექსპედიციის ნაპოვნები, რომელმაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გრეკოვის ხელმძღვანელობით გამოიკვლია დნეპრისპირეთისა და აზოვისპირეთის ვრცელი რაიონი. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბრინჯაოსა და ადრე შუასაუკუნეების ეპოქის 50 ძველი ნამოსახლარი. იპოვნეს რკინისა და ბრინჯაოს მრავალი ნივთი, რამდენიმე ნამგალი, ოქროს საყურე.

დაღისტნის ექსპედიციამ გამოფენაზე წარმოადგინა IX-X საუკუნეების ნაწარმთა ნიმუშები, აღმოჩენილი დაღისტნის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი ნამოსახლარის გათხრისას. სამიწათმოქმედო იარაღები, ხმალი, ქალის სამკაულები და სხვა ნივთები წარმოდგენას გვაძლევენ ხაზართა სამეფოს მოსახლეობის ყოფაცხოვრებისა და ოსტატობაზე.

განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი ნაპოვნები ტრიპოლიეს ექსპედიციის სტენდებზე, რომელიც სწავლობს სლავთა წინაპრების კულტურასა და ყოფაცხოვრებას. ეს წინაპრები ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II საუკუნეებში ცხოვრობდნენ დნეპრისა და დნესტრის სანაპიროებზე. ყურადღებას იპყრობს გამოფენის ვიტრინებზე წარმოდგენილი ოსტატურად შესრულებული კერამიკული ნაწარმი, სპილენძის ნივთები, საკეცი დანები. (საქდესი).

### სამგორის სახალხო მშენებლობაზე

# სამგორელი მშენებლები ერთსულოვნად იწონებენ მოწინავე კომკავშირული ბრიგადის ინიციატივას

„კომუნისტის" 24 აპრილის ნომერში დაიბეჭდა სამგორწყალმშენის მეორე სამშენებლო უბნის კომკავშირული ბრიგადის წევრთა (ბრიგადირი ლ. ლომიძე) წერილი სამგორის ყველა მშენებლისადმი. კომკავშირელი მშენებლები წინადადებით მიმართავდნენ კოლმეურნეობებიდან სამგორში ხანგრძლივი ვადით სამუშაოდ ჩამოსულ კოლმეურნე მშენებლებს, რომელთაც მშენებლობაზე ყოფნის ვადა გაუდით, კვლავ დარჩნენ სამგორში სამუშაოდ და სათანადო შუამდგომლობებით მიმართონ თავიანთ კოლმეურნეობათა გამგეობებს, აგრეთვე თავიანთი რაიონების ხელმძღვანელებს.

კომკავშირელ მშენებელთა ამ ინიციატივამ მშენებლებში საერთო მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა. 24 და 25 აპრილს სამგორის ყველა უბანსა და ყველა ობიექტზე მომუშავენი გაეცნენ ამ წერილს. ბევრგან შედგა მშენებელთა კრებები, რომლებზეც ერთსულოვნად გადაწყვიტეს დარჩნენ სამგორში სამუშაოდ, უზრუნველყონ სამგორის სარწყავი სისტემის ვადაზე ამუშავება.

### მოწინავე მშენებლების სიტყვა

24 აპრილს საღამოს დიდ ლილოში, მშენებელ მუშათა საცხოვრებელი დაბის კლუბში თავი მოიყარეს სამგორის პირველი სამშენებლო უბნის სხვადასხვა ობიექტიდან მოსულმა მშენებლებმა. მარტყოფის ხევის დიუკერის მშენებელთა შორის იყვნენ სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი შოთა ორმოცაძე და ოსტატი გიორგი მათიაშვილი, დამპალხევის დიუკერის მშენებლებს შორის — ინჟინერი ნიკო არჯევანიძე, ცოდვიანთხევიელებს შორის — ტექნიკოსი გიორგი შოშიაშვილი და ა. შ. დარაზმულად მოვიდნენ კრებაზე დასასწრებად ნორიოსხეველი მშენებლები და ლილო-მარტყოფის განმანაწილებელი არხის გაყვანაზე მომუშავენი.

კლუბის დარბაზი, რომელიც 400-მდე კაცს იტევს, აივსო მშენებლებით. ყველამ იცოდა, რა საკითხი იყო განსახილველი უბნის მშენებელთა ამ საერთო კრებაზე. ჯერ კიდევ დილით შესვენებების დროს აგიტატორებმა მუშებს წაუკითხეს ლევან ლომიძის კომკავშირული ბრიგადის წევრთა წერილი და მუშებმა თვითონ მოითხოვეს, რომ ეს წერილი საერთო კრებაზე ყოფილიყო განხილული.

ინჟინერ შალვა ბაქრაძის მოკლე მოხსენების შემდეგ საერთო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ცოდვიანთხევის დიუკერზე მომუშავე მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ქარუმ გუცაშვილმა.

— ჩემი ბრიგადის წევრებმა დამავალეს, — თქვა მან, — განვაცხადო, რომ მთელი ბრიგადა 18 კაცის შემადგენლობით ვრჩებით სამგორში სამუშაოდ და ჩვენის მხრივ მოვუწოდებთ ყველას, ვისაც აქ მუშაობის ვადა გასდის, მიბაძონ ჩვენს მაგალითს.

— ჩვენი ბრიგადის წევრებმა, — თქვა მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ვლადიმერ კიკნაძემ, — რომლებიც ახალ სამუშაო ფრონტზე არიან გადასული ნორიოს ხევის დიუკერზე, უკვე განვიხილეთ ლომიძის ბრიგადის წევრთა წერილი, ერთსულოვნად ვუერთდებით მათს ინიციატივას და ვკისრულობთ დავრჩეთ სამგორში სამუშაოდ.

კრებაზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და ახალ საწარმოო ვალდებულებათა შესრულება იკისრეს ბრიგადირებმა ნიკო მერაბიშვილმა, მანველ თიკანაშვილმა, გიორგი სარდანაძემ, ნიკო ჩოფურაშვილმა და სხვებმა.

მარტო ამ კრებაზე დამსწრეთაგან სამგორში სამუშაოდ დარჩენის შესახებ განცხადება დაწერა 180 მშენებელმა.

### ვამაყობთ სამგორის მშენებლობაში მონაწილეობით

10 თვის წინათ ცაგერის რაიონიდან სამგორში სამუშაოდ ჩამოსულთაგან შეიქმნა მებეტონეთა ბრიგადა, რომელსაც ახლა მე ვხელმძღვანელობ. მაშინ არ ვიცოდით, როგორ უნდა გვემუშავნა, არც ბეტონის დამზადების გამოცდილება გვქონდა. მაგრამ სამგორელი ინჟინრების დახმარებით ეს საქმე მოკლე დროში შევისწავლეთ, ხელი გავიწაფეთ და ახლა სხვა ბრიგადებს როდი ჩამოვრჩებით.

ჩვენი ბრიგადის თვითეულ წევრს სავსებით შეგნებული აქვს ის დიდი მოვალეობა, რომელიც მას, როგორც სამგორის მშენებელს ეკისრება. ჩვენ უნდა გავაცოცხლოთ სამგორის მთელი ეს თვალუწვდენი ველი, გადავაქციოთ იგი ქართული პურის ახალ ბეღლად, ჩვენი დედაქალაქი თბილისი დავამშვენოთ ბაღნარიანი მიდამოებით.

საამაყოდ მიგვაჩნია სამგორის მშენებლის სახელის ტარება. ამიტომ იყო, რომ ლ. ლომიძის ბრიგადის წევრთა ინიციატივამ ჩვენს ბრიგადაში ერთსულოვანი მოწონება გამოიწვია. ჩვენი ბრიგადის წევრებმა გიგა მეშველიანმა, ბენო თუთისანმა, გიორგი არჯევანიძემ, შალვა ირემაძემ, იაკობ მუშკუდიანმა, ბორის ჯიაძემ, იაკობ მიქაძემ, გრიგოლ კვირიკაშვილმა, აკაკი რევიამ, ალექსანდრე კუსიანმა და ბენო კაპანაძემ უკვე შეიტანეს განცხადებები სამგორში კვლავ დარჩენის შესახებ.

ცაგერის რაიონიდან მოველით ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილების დასტურს. ბრიგადა ერთსულოვნად კისრულობს სამშენებლო სამუშაოთა მაღალხარისხოვანი შესრულებით, თვითღირებულების შემცირებით და გეგმების დიდი გადაჭარბებით ასახელოს ჩვენი რაიონი.

ს. თუთისანი
მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელი

### პროპაგანდისტთა დასახმარებლად

# გავაუმჯობესოთ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრეების მუშაობა

მიმდინარე სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში პირველად ჩამოყალიბდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრეები. ამ წრეებს ჯერ არა აქვთ მუშაობის სათანადო გამოცდილება. პროპაგანდისტებს ესაჭიროებათ მეთოდური დახმარება და ხელმძღვანელობა. ჩვენი წერილის მიზანია ზოგიერთი რჩევა მისცეს პროპაგანდისტებს, დაეხმაროს მათ სასწავლო-მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებაში, მეცადინეობის უკეთ მოწყობაში.

წრის მუშაობაში წამყვანი როლი პროპაგანდისტს ეკისრება. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წრის პროპაგანდისტს, მართალია, მუშაობის ერთგვარ სირთულესთან აქვს საქმე, მაგრამ თუ იგი ენერგიულად და სრული პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმეს, შეუძლია ამ სიძნელის გადალახვა. მთავარი ისაა, რომ პროპაგანდისტი კარგად ფლობდეს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კურსს, გულდასმით ემზადებოდეს ყოველი მეცადინეობისათვის, უნარიანად იყენებდეს სწავლების აქტიურ მეთოდს.

წრის მუშაობას, არსებითად, ორი მხარე აქვს: ერთია პროპაგანდისტის საუბარი, პროპაგანდისტის მუშაობა მსმენელებთან; მეორე — მსმენელთა მეცადინეობა სასწავლო მასალაზე, მსმენელთა დამოუკიდებელი მუშაობა.

პროპაგანდისტმა, სანამ იგი წრეში მუშაობას შეუდგებოდეს, საჭიროა წინასწარ მოიფიქროს წლიური კურსი, შეადგინოს სამუშაო გეგმა, გაანაწილოს მასალა საუბრებისათვის და პრაქტიკული მეცადინეობისათვის. პროპაგანდისტის საუბარი წრის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენს. ამიტომ პროპაგანდისტი მთელი სერიოზულობით უნდა გრძნობდეს ამ პასუხისმგებლობას. პროპაგანდისტი ყოველთვის გულდასმით უნდა ემზადებოდეს საუბრისათვის, ღრმად და ამომწურავად ამუშავებდეს საჭირო მასალას პირველი წყაროების მიხედვით. პროპაგანდისტს ევალება იცოდეს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, კარგად ერკვეოდეს საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ უახლოეს საბრძოლო ამოცანებში. პროპაგანდისტმა საუბარში გასაშუქებელი საკითხები უნდა დაუკავშიროს კომუნიზმის მშენებლობის მთავარ ამოცანებს, უნდა მოახდინოს ცხოვრების ფაქტებისა და მოვლენების თეორიული განზოგადება.

პროპაგანდისტის მოვალეობაა საუბარი ააგოს მთავარ საკვანძო საკითხებზე, საფუძვლიანად განმარტოს ძირითადი დებულებები, ცნებები, მოიყვანოს ცოცხალი მაგალითები ამა თუ იმ დებულების გასაგებად, მაგრამ საუბარი არ უნდა დავტვირთოთ წვრილმანი, არაარსებითი საკითხებით, მრავალი მაგალითით. უნდა გვახსოვდეს ლენინის მითითება, რომ დიალექტიკა არ წარმოადგენს მაგალითების ჯამს. ძალიან ხშირად პროპაგანდისტის საუბარი შედგება ზოგადი ფრაზებისაგან, გრძელი და მოუფიქრებელი წინადადებებისაგან. არ ხდება ცალკეული დებულებების, ცნებების, ტერმინის კონკრეტული შინაარსის ახსნა-განმარტება, საუბარი არ უკავშირდება თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ საბრძოლო საკითხებს. ცხადია, ასეთი თხრობა უშინაარსო და ზერელეა, — მსმენელთათვის მოსაბეზრებელი.

პროპაგანდისტულ მუშაობაში არა მარტო საუბრის შინაარსობრივ მხარეს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა, არამედ მისი გადაცემის ფორმასაც. საუბარი უნდა იყოს ენობრივად გამართული, სტილისტურად დახვეწილი, ცხადი და დამაჯერებელი. მაგრამ პროპაგანდისტის საუბარი მსმენელებისათვის მიმზიდველი და დამაჯერებელი მაშინ არის, როცა მასალა წინასწარ მოფიქრებულია და კარგად არის გააზრებული. თუ პროპაგანდისტი დაწერილს კითხულობს, მაშინ მისი კონტაქტი მსმენელებთან დარღვეულია, ინტერესი — შენელებული. დაწერილის წაკითხვა ან წინასწარ გაზეპირებული ფრაზებით გამოსვლა ნაკლებ ეფექტიანია. „იცით თუ არა, რას ნიშნავს მზამზარეული ფრაზით ლაპარაკი? — აყენებდა კითხვას ამხ. მ. ი. კალინინი და იქვე უპასუხებდა: — ეს ნიშნავს, რომ თქვენი აზრი არ მუშაობს, არამედ მუშაობს მხოლოდ ენა". ზოგადი ფრაზებისაგან შემდგარ თხრობას, რომელშიც არ არის საკუთარი აზრი და გრძნობა, ამხანაგი კალინინი ადარებდა მთვარის შუქს, რომელიც არ ათბობს. პროპაგანდისტს, რასაკვირველია, საუბრის გეგმა-კონსპექტი ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს, მაგრამ მას იშვიათად უნდა მიმართავდეს.

საუბრის დროს პროპაგანდისტი გვერდს ვერ აუვლის უცხო სიტყვებს, ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას. ამიტომ იგი ვალდებულია საფუძვლიანად განუმარტოს მსმენელებს ყოველი ფილოსოფიური ტერმინი, ცნება, კატეგორია. სხვაგვარად არ შეიძლება ფილოსოფიურ დებულებათა ღრმა ცოდნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა პროპაგანდისტი ამას როდი ითვალისწინებს. მაგალითად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებულ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელ წრეში მსმენელებს მრავალი მაგალითის დასახელება შეუძლიათ დიალექტიკის მესამე ნიშნის — რაოდენობრივი ცვლილებებიდან ძირეულ, თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის შესახებ, მაგრამ მათთან გასაუბრების დროს ირკვევა, რომ ჯერ კიდევ კარგად არ ესმით ფილოსოფიური ტერმინების აზრი. ამ წრის ვერც ერთმა მსმენელმა ვერ შეძლო განემარტა, თუ რა არის თვისებრიობა, რა არის რაოდენობრიობა, ზომა და სხვ. ასევე ვერ ახსნეს მათ დიალექტიკის ძირითად ნიშნებთან დაკავშირებული სხვადასხვა კატეგორიები. ეს ნაკლი იმით აიხსნება, რომ აღნიშნულ წრეში ნაკლები ყურადღება ექცევა თემის ყოველმხრივ შესწავლას.

წრის მეცადინეობა პროპაგანდისტის საუბრით არ ამოიწურება. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად ჩატარებულ საუბარს. მაგრამ მთავარი მაინც თვით მსმენელთა მეცადინეობა, წიგნზე მათი დამოუკიდებელი მუშაობაა. პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ თემას გარკვეული დრო აქვს დათმობილი. ეს დრო პროპაგანდისტმა ორ ნაწილად უნდა გაყოს. ამ დროის ერთი ნაწილი საჭიროა მოხმარდეს საუბარს, რომელიც მსმენელებს დაეხმარება, ორიენტაციას მისცემს, ხოლო მეორე ნაწილი სემინარულ მეცადინეობას. მაგალითად, პროგრამის მიხედვით თემას: — სამყაროს მატერიალობა და მისი განვითარების კანონზომიერება — დათმობილი აქვს 4 საათი, ე. ი. ორი მეცადინეობა. მიზანშეწონილი იქნება ერთი მეცადინეობა დაეთმოს პროპაგანდისტის საუბარს, რომელშიც მან უნდა გაარკვიოს მთლიანად თემის ძირითადი პრობლემები, მთავარი, არსებითი საკითხები. ამავე დროს კარგი იქნება, თუ პროპაგანდისტი მსმენელებს ჩააწერინებს ძირითად საკითხებს, რაზეც გამახვილებულ უნდა იქნას ყურადღება. შემდეგ მეცადინეობაზე, მეორე ორი საათის განმავლობაში ეწყობა სემინარული მუშაობა. იმ შემთხვევაში, როცა თემას პროგრამით 6 საათი, ე. ი. სამი მეცადინეობა აქვს დათმობილი (მაგალითად, ფილოსოფიური მატერიალიზმის მეორე ან მესამე ნიშანი), პროპაგანდისტს შეუძლია ეს დრო ასე გაანაწილოს: შესავალ საუბარს დაუთმოს 2 საათი, დანარჩენი დრო კი მსმენელებთან სემინარულ მუშაობას მოანდომოს. სემინარული მეცადინეობა ხელს უწყობს მსმენელთა აქტივობის განვითარებას, აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და კამათის გაშლას. სემინარზე პროპაგანდისტს საშუალება ეძლევა გაიგოს, თუ ვინ როგორ მეცადინეობს და როგორია მსმენელთა მიერ გავლილი მასალის შეთვისების ხარისხი. დროის ასეთი განაწილება პროპაგანდისტს სასწავლო წლის დასაწყისიდანვე უნდა ჰქონდეს დაგეგმილი.

წრეში მსმენელებთან პრაქტიკული სემინარული მუშაობის მეთოდი მრავალმხრივია. აქ არ შეიძლება შაბლონს გავყვეთ. შეიძლება პროპაგანდისტმა მსმენელთა წინაშე დააყენოს თემის ძირითადი საკითხები და ამის ირგვლივ მოაწყოს საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი და ამხანაგური დისკუსიაც კი. შესაძლებელია აგრეთვე მსმენელებს დაევალოთ მოხსენებების ან რეფერატების დაწერა ცალკეულ საკითხებზე. რეფერატების შედგენა ხელს შეუწყობს მსმენელების მიერ თემის უფრო სრულად დამუშავებას და მათი წერითი მეტყველების განვითარებას. მაგრამ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რეფერატის ან მოხსენების შინაარსი მსმენელთა მიერ წრის მეცადინეობაზე გადმოცემულ იქნას არა წაკითხვით, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, არამედ ზეპირი მეტყველების ფორმით. ზეპირი მეტყველება მსმენელს აჩვევს დამოუკიდებელ აზროვნებას, სიტყვის წარმოთქმის ოსტატობას. ზეპირი გამოსვლის დროს შესაძლოა მსმენელმა შეცდომა დაუშვას, მაგრამ ეს არ უნდა იქნას გაკიცხული, შეცდომა და ნაკლი ამხანაგურად უნდა გავუსწოროთ მას, რომ იგი მეორედ უფრო გაბედულად და უშეცდომოდ გამოვიდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტის მიერ საკონტროლო კითხვის დაყენებას, მაგრამ ზოგჯერ პროპაგანდისტი ისე აყენებს კითხვას, რომ კითხვა თვითონვე შეიცავს პასუხს. ამ შემთხვევაში წრის მსმენელებს საპასუხოდ რჩებათ მხოლოდ „ჰო" ან „არა". ასე დასმულ კითხვას არავითარი აზრი არა აქვს, მას შეუძლია მხოლოდ ზიანი მოუტანოს საქმეს, შეაჩვიოს მსმენელები მზამზარეულ პასუხებს, შეაფერხოს მსმენელთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება. დასმულ კითხვებზე პასუხისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს დაშვებული შეცდომები პროპაგანდისტს შეუძლია გაასწოროს ან გზადაგზა, ან დასკვნითს, შემაჯამებელ სიტყვაში.

პროპაგანდისტი სისტემატურ კონტროლს უნდა უწევდეს წრის მსმენელთა მეცადინეობას, რეგულარულად უნდა ამოწმებდეს კონსპექტებს. აუცილებელია პროპაგანდისტი კარგად იცნობდეს თავის მსმენელებს, იცოდეს, ვინ რა საკითხით არის უფრო მეტად დაინტერესებული, როგორ სწავლობს საპროგრამო მასალას. მსმენელებთან თანმიმდევრული და ინდივიდუალური მუშაობით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წრეში არც ერთი ჩამორჩენილი მსმენელი არ იყოს.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელ წრეებს, განიხილონ ამ წრეების მუშაობის საკითხი როგორც პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებებზე, ისე რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომებზე.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრეების მუშაობის პირველმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იქ, სადაც პროპაგანდისტი მონდომებით, სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, სადაც პარტიული ორგანიზაციები გამუდმებით ზრუნავენ წრის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მსმენელები დიდ ინტერესს იჩენენ და მეცადინეობაც ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად მიმდინარეობს. ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრე, რომელიც შექმნილია ზუგდიდის ინტელიგენციისათვის. აღნიშნული წრის პროპაგანდისტად მუშაობს ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. გ. ცხაკაია. იგი საუბრებს მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ატარებს, ყოველი მეცადინეობისათვისადგენს გეგმა-კონსპექტს, ცალკეულ ამონაწერებს. მისი საუბარი მიმზიდველია, მსმენელთათვის მისაწვდომი. საუბრის დროს იგი მოხერხებულად იყენებს მხატვრულ ლიტერატურას. ყოველ საუბარს ცოცხალი ხასიათი ეძლევა და მსმენელებშიც დიდ ინტერესს იწვევს.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წრე ორწლიანია. მიმდინარე სასწავლო წელს წრეებში პროგრამის პირველი ნახევარი — დიალექტიკური მატერიალიზმი — უნდა შეისწავლონ. მეორე წლისათვის გათვალისწინებულია ისტორიული მატერიალიზმის შესწავლა. აღნიშნული საპროგრამო საკითხების შესწავლის შედეგად მსმენელებს უნდა შეეძლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის, მარქსისტული ფილოსოფიის შემოქმედებითი გაგება, ფილოსოფიურ ლიტერატურაზე დამოუკიდებლად მუშაობა, მათ უნდა შეემუშავდეთ მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების უნარი.

პარტიული განათლების ქსელში მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებამდე ცოტა დროა დარჩენილი. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა კარგად გამოიყენონ ეს დრო, დაეხმარონ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელ წრეებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, მეცადინეობის მაღალხარისხოვნად მოწყობაში.

დ. კალანდაძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

# საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმი

ამას წინათ გამართულმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა განიხილა საკითხები: „კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი“ და „პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების მომზადებასა და მოწყობაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა“. პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი ამხანაგ სტალინისადმი.

I.

პირველ საკითხზე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მიხაილოვის მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში პლენუმმა აღნიშნა, რომ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველმხრივ გააძლიერონ მუშაობა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის, დარაზმონ ახალგაზრდობის ძალები სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა იბრძოლონ სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანის — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდების, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის სწრაფი გადიდების, ამასთან მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის. ამჟამად კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანა ის არის, რომ აქტიური დახმარება გაუწიონ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებაში.

პლენუმმა კოლმეურნეობების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა უზრუნველყონ მთელი სოფლის ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების და მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობის მისაღწევად წარმოებულ მუშაობაში. კოლმეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციები, ალკკ რაიკომები, საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტები მოვალენი არიან დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის განმტკიცების საქმეში.

ალკკ რაიკომებმა, საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა გააუმჯობესონ მტს-ების კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, უზრუნველყონ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა ტრაქტორებისა და კომბაინების საუკეთესოდ გამოყენებისათვის ბრძოლაში.

პლენუმმა დაავალა საბჭოთა მეურნეობების კომკავშირულ ორგანიზაციებს აქტიური დახმარება გაუწიონ პარტიულ ორგანიზაციებსა და დირექტორებს ყოველმხრივ განვითარებულ მოწინავე მეურნეობებად საბჭოთა მეურნეობების გადაქცევისათვის მუშაობაში.

მთელი კომკავშირის საპატიო ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული სტალინური გეგმის შესრულებაში. პლენუმმა დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს იბრძოლონ მინდორსაცავი ტყეების გაშენების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა კომუნიზმის დიად მშენებლობათა განხორციელების შესახებ ამხანაგ სტალინის ინიციატივით საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დიდი ისტორიული მნიშვნელობა და მოუწოდა ახალგაზრდობას აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ მშენებლობაში, ყოველნაირად შეუწყოს ხელი გეგმებით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოთა წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, მხარი დაუჭიროს ახალგაზრდობის იმ პატრიოტული ინიციატივის მრავალფეროვან გამოვლინებას, რომელიც მიმართულია მშენებლობის დაჩქარებისაკენ.

კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააძლიერონ მუშაობა სოფლის ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ასამაღლებლად, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს პროპაგანდის შემდგომ გაჩაღებასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვაში, აგროზოოტექნიკური სწავლების დაყენების გაუმჯობესებაში.

პლენუმმა წინადადება მისცა ალკკ რაიკომებს, საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს აღმოფხვრან კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების შინაარსისა და ორგანიზაციის, სოფლის ახალგაზრდობაში სალექციო მუშაობის დაყენების ნაკლოვანებანი. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ სოფლის ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა კულტურულ მუშაობაში სოფლად, მასობრივი ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის გაუმჯობესებაში.

შინაკომკავშირული მუშაობის დარგში პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების შემდგომი ყოველმხრივი განმტკიცებას, საკავშირო ალკკ წევრთა აქტივობის გადიდების, კომკავშირში მოწინავე სოფლის ახალგაზრდობის ფართო ფენების მისაზიდავად მუშაობის გაძლიერების ამოცანებს. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის თვითეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის სისტემატური ზრდა, გაუმჯობესდეს მათდამი ხელმძღვანელობა ალკკ რაიკომების, საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მხრივ.

პლენუმმა მოუწოდა კომკავშირელებს, მთელ სოფლის ახალგაზრდობას ბეჯითად იშრომონ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის.

II.

დადგენილებაში „პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების მომზადებასა და მოწყობაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ერშოვას მოხსენების გამო, პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბავშვების საზაფხულო დასვენების მოწყობა კომკავშირის დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

კომკავშირის საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტები სახალხო განათლების ორგანოებთან და პროფკავშირებთან ერთად მოვალენი არიან უზრუნველყონ 1951 წლის ზაფხულში პიონერთა და მოსწავლეთა დასვენების ორგანიზებულად მომზადება და ჩატარება. ალკკ რაიონულმა, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტებმა, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა პროფკავშირებთან, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად უნდა უზრუნველყონ, რომ თვითეული პიონერ-ბანაკი დროზე და სავსებით მოემზადოს ბავშვების მისაღებად.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ბავშვების დასვენების მოწყობას, რომლებიც ზაფხულში ქალაქში რჩებიან. საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული საქალაქო პიონერბანაკების შექმნის პრაქტიკა.

პლენუმმა კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ბანაკებში უნდა მოეწყოს მრავალმხრივი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი, აგრეთვე ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობა. ამასთანავე პლენუმმა აღნიშნა, რომ შეუწყნარებელია ბავშვების გადატვირთვა სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებებით მათი დასვენებისა და ჯანმრთელობის საზიანოდ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს უფროსი კლასების მოსწავლეთა დასვენებას, მათთვის ტურისტული ბანაკების ქსელის შექმნას, სასპორტო-მასობრივ ღონისძიებათა განხორციელებას. კომკავშირის რაიონულმა, საოლქო, სამხარეო კომიტეტებმა, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა იზრუნონ აგრეთვე სოფელ ადგილებში მცხოვრები ბავშვების ორგანიზებული დასვენებისათვის.

პლენუმმა დაავალა კომკავშირის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბავშვო სახლების აღსაზრდელთა საზაფხულო დასვენების მოწყობაში.

კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ზაფხულის პერიოდისათვის ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედნების შექმნაში. უზრუნველყოფილ უნდა იქნას სკოლისგარეშე დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების მომზადებასა და მოწყობაში.

ალკკ რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მდივნები, ბიუროს წევრები მოვალენი არიან უფრო ხშირად იარონ პიონერბანაკებში. პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების მოწყობის საკითხებს სისტემატურად უნდა იხილავდნენ ალკკ რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების ბიუროების სხდომებზე.

# სავსებით მომზადებული შევხვდეთ ჩაის კრეფა-გადამუშავების მასობრივად დაწყებას

★

**ჩაის ფოთლის კრეფა-გადამუშავების სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოაწყო რეიდი გეგეჭკორის რაიონში.**

**რეიდის მონაწილეებმა შეამოწმეს ჩაის ფაბრიკების, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების მზადყოფნა სეზონისათვის. ქვემოთ ვბეჭდავთ შემოწმების შედეგებს**

★

წელს გეგეჭკორის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფა-გადამუშავებისათვის მზადება უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე წინა წლებში. ახალ სეზონს მზად ხვდება დიდი ჭყონის პირველი ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. დ. გეგელია, მთავარი ტექნოლოგი ამხ. დ. შანიძე). მიმდინარე და კაპიტალური რემონტი დროზე ჩაატარეს, მზად არის მიმღები პუნქტი, მანქანა-დანადგარები წესრიგშია მოყვანილი, ფაბრიკა დაკომპლექტებულია სპეციალისტთა კადრებით. სეზონს მომზადებული ხვდება ბანძის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. პ. ქიქავა). ფაბრიკა უზრუნველყოფილია მუშახელითა და სპეციალისტებით. შეკეთებულია ჩაის პლანტაციებში მისასვლელი გზები. საკმაო რაოდენობით ჰყავთ ტრანსპორტი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად რაიონის კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს 2.446 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 2.200 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად შარშანდელი 1.800 კილოგრამისა. სეზონისათვის უკვე მზად არიან მთელი რიგი კოლმეურნეობები.

ჩაის კრეფა-გადამუშავებისათვის მზადებაში არის ნაკლოვანებანიც. მაგალითად, დიდი ჭყონის ჩაის მეორე ფაბრიკა (დირექტორი ამხ. კ. გვილავა, მთავარი ტექნოლოგი ამხ. ს. სართანია) 10 კოლმეურნეობას და ერთ საბჭოთა მეურნეობას ემსახურება. წელს ფაბრიკამ ნახევარი მილიონი კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი უნდა გადაამუშაოს, ვიდრე შარშან. ფაბრიკა არ არის მზად ახალი სეზონისათვის, აკლია მუშახელი, არა აქვს საჭირო რაოდენობის ჩაის საჭრელი დანები, სპეცხალათები დღემდე არ მიუღია. ფაბრიკაში ინახება 100 ტონამდე ლაო ჩაი — ნახევარფაბრიკატი, რომელიც კარგა ხანია გადაგზავნილი უნდა ყოფილიყო ზუგდიდის ჩაის საწნეხ ფაბრიკაში. ეს ხელს უშლის ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავებას. ფაბრიკაში დაცული არ არის სისუფთავე. წელს ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ფაბრიკის მახლობლად მოაწყო სასადილო, მისი რემონტი დაამთავრეს, მაგრამ აკლიათ სხვადასხვა ინვენტარი.

სერიოზული სამუშაო აქვს ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს. წელს აქ ნაკისრი აქვთ 547 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფონ 2 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამ დღეებში მასობრივად დაიწყებენ ჩაის ფოთლის კრეფას. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ აღებისათვის ყველაფერი როდია გაკეთებული. მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები სერიოზულად არ ეკიდებიან სეზონისათვის მზადებას. წელს მათ დასჭირდებათ 949 ჩაის მკრეფავი. დღემდე კი მხოლოდ 730 ჰყავთ. აკლიათ 50 ცალი ჩაის გადმოსატანი ყუთი, 19 საფენი ბრეზენტი. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის გეგმით უნდა მოეწყოთ ჩაის მისაღები 14 ფარდული, ფაქტიურად კი ერთიც არა აქვთ მზად. საბავშვო ბაგა კეთილმოუწყობელია, არც კვების საკითხია სათანადოდ მოგვარებული. ბაგის მუშაობის გაუმჯობესებით უნდა დაინტერესდნენ საბჭოთა მეურნეობისა და გეგეჭკორის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მუშაკები.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის ცუდად ემზადება ზოგიერთი კოლმეურნეობაც. მაგალითად, სოფელ ნაჯახაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. გ. ცანავა) მესამე და მეოთხე ბრიგადების ჩაის მიმღები ფარდულები კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. აკლიათ 50 ცალი კალათი. სანახევროდ არ არის შესრულებული ჩაის პლანტაციებში აზოტოვანი სასუქის შეტანის გეგმა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ამავე სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში და გაჭედილის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშია.

რაიონში აგვიანებენ 3.870 ჩაის მკრეფავისათვის მოკლევადიანი სემინარის მოწყობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაის ფოთლის კრეფა-გადამუშავებისათვის მზადყოფნის მდგომარეობა გეგეჭკორის რაიონში საქართველოს ჩაის ტრესტის მუშაკებს ჯერ კიდევ არ შეუმოწმებიათ და ფაბრიკების მიღება არ გაუფორმებიათ სათანადო აქტით. საქართველოს კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და საქართველოს ჩაის ტრესტმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**დ. გოროზია**, რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მთავარი აგრონომი; **ი. კაჭარავა**, ბანძის ჩაის ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი; **ა. ჯანჯღავა**, დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ა. დანელია**, დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე; **შ. ჭოჭუა**, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი; **ბ. მილიუტინი**, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

# ხირსელი მევენახეები

ხირსაში ასობით ჰექტარი ვენახია გაშენებული. აქ დიდი მუშაობაა გაწეული ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად, ახალი ფართობების ასათვისებლად. ამჟამად მეურნეობაში (დირექტორი ამხ. დ. შარაშიძე) 254 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვთ. ამას გარდა უკანასკნელ ორ წელიწადში ასოცი ჰექტარი ახალი ვაზი გააშენეს. მიღწეულია ნამყენის გახარების მაღალი მაჩვენებელი — 99,1 პროცენტი. საამისოდ ხირსელებმა პირველად გამოიყენეს მდინარე ალაზნის მანამდე უხმარი ლამი და სილა. გამოყვანილია 720 ათასი ძირი ნამყენი, ნაცვლად 700 ათასი ძირისა, ახლა მიმდინარეობს მათი სანერგეში დარგვა. საქმეს უნარიანად უძღვებიან კომუნისტი ბრიგადირი დ. ისაშვილი და სასათბურე მეურნეობის ხელმძღვანელი ვ. მიშველაძე. თავიანთი მუშაობით მისაბაძ მაგალითებს იძლევიან სანერგის მუშები მარიამ ლევდაშვილი, გ. ბასილაშვილი, ალექსანდრა აგრისკოვა და მრავალი სხვა. კარგად მუშაობენ აგრეთვე ბრიგადირი ს. შანშიაშვილი და მერგოლური ქსენია ალხანიშვილი.

ხირსელებმა შარშან შემოდგომაზე ყველა სამუშაო აგროტექნიკურ ვადებში შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებულზე მეტი სასუქები შეიტანეს ვენახებში. ამ გაზაფხულზე უფრო უკეთესად იმუშავეს. გადახვნა, ვენახის ძირების გამობარვა, შტამბების გასუფთავება, სხვლა, აკვრა, სასუქების შეტანა და სხვა სამუშაო მაღალხარისხოვნად შეასრულეს. ახლა ემზადებიან ვენახის შესაწამლად.

მეურნეობის აგროუბნები, სპეციალისტები, სტახანოველები ერთმანეთს ეჯიბრებიან ვენახის უკეთესად მოვლაში. მოწინავეა მეხუთე აგროუბანი, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა აგრონომი კომკავშირელი რ. ზარაფიშვილი. სანიმუშოდ მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი ზაქარია ჭუჭულაშვილი. მან ვალდებულება იკისრა მოსავლელად მიჩენილი 5,22 ჰექტარი ვენახიდან ერთ ჰექტარზე მოიყვანოს 160 ცენტნერი ყურძენი, ხოლო დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 140 ცენტნერი ყურძენი. მეოთხე აგროუბნის პირველი ბრიგადის მერგოლური ლენინის ორდენოსანი ვ. მოსაშვილი ათ ჰექტარს უვლის. მან პირობა აქვს დადებული თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 90 ცენტნერი ყურძენი, ხოლო ცალკეულ ჰექტარებზე საშუალოდ 150-160 ცენტნერი.

მეურნეობის წინსვლაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეურნეობის მთავარ აგრონომს ამხ. ზ. კვირიკაშვილს. მის გამოგონებულ გუთან-კულტივატორს სამი წელია ხმარობენ მეურნეობაში. ამით უზრუნველყოფილია შემოდგომაზე ნიადაგის ღრმად ხვნა. აგრონომმა კვირიკაშვილმა აგრეთვე შეიტანა რაციონალიზატორული წინადადება, რომლის განხორციელებით შესაძლებელი იქნება ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედის ყოველ ჰექტარზე 150-200 ათასი ცალი ლერწის მიღება, მაშინ როცა დღემდე იღებენ 30-40 ათას ცალს. ამხ. კვირიკაშვილმა ჩაატარა ცდა და ჰექტარზე მიიღო 140 ათასზე მეტი ლერწი. იგი კვლავ განაგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას.

მეურნეობის გაფართოებასთან ერთად მატულობს მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა. ამან დააყენა ამოცანა უფრო სწრაფად აშენებულიყო საცხოვრებელი სახლები, კულტურული ნაგებობანი. მეურნეობამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ააშენა 2.600 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რვაკლასიანი სკოლის შენობა, არყისა და კონიაკ-სპირტის სახდელი ქარხნები, მუშათა სასადილო და კლუბი. დაწყებულია გაუმჯობესებული ჯიშის პირუტყვის კარგი ბინის აგება. მეურნეობას განზრახული აქვს შეიძინოს გაუმჯობესებული ჯიშის 45 ძროხა. უკვე შეძენილია 15 ძროხა. პირველმა ძროხამ ერთი ლაქტაციის პერიოდში მოიწველა 3.600 ლიტრი რძე.

წელს პირუტყვის ბინათმშენებლობაზე დაიხარჯება 730 ათასი მანეთი, საცხოვრებელი ბინების აგებაზე კი ნახევარი მილიონი მანეთი. უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი.

კიდევ რამდენიმე წელი, და ხირსის მეურნეობა ყველაზე დიდი იქნება მევენახეობის მეურნეობებს შორის. იგი მშრომელებს მისცემს სულ უფრო მეტსა და მაღალხარისხოვან ქართულ ღვინოს.

**ნ. ჯანჯღავა**
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი
**გ. ყაჯრიშვილი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის განცხადება

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი პროტესტს აცხადებს საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლითაც აკრძალულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობა საფრანგეთის ტერიტორიაზე.

ამ გადაწყვეტილებამ სამართლიანად აღაშფოთა მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი, რომელნიც გულწრფელად მიისწრაფვიან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. მათთან ერთად ჩვენ ვიზიარებთ ამ აღშფოთებას და ეჭვი არ გვეპარება, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მუშაობის ჩაშლისა და ამით მშვიდობის მომხრეთა ძალების ზრდის შეფერხების ცდები ჩაიფუშება. მშვიდობის დამცველნი ყველა ქვეყანაში კიდევ უფრო მეტ დახმარებას გაუწევენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მის კეთილშობილურ ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის მთელ მსოფლიოში.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი მოითხოვს გაუქმდეს გადაწყვეტილება საფრანგეთის ტერიტორიაზე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ.

ჩვენ სიტყვას ვაძლევთ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, რომ საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის დავალებით:

**ნ. ტიხონოვი, ა. ფადეევი, ი. ერენბურგი, ბ. გრეკოვი, ა. კორნეიჩუკი, ს. გერასიმოვი, კ. სიმონოვი, ა. სურკოვი, ნ. პოპოვა, მ. კოტოვი.**

# დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მიმართვა

**ბუდაპეშტი**, 25 აპრილი. (საკდესი). მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის 1 მაისის მოახლოების გამო, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ მოწოდებით მიმართა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს ყველა ქვეყნის დემოკრატიულ ახალგაზრდობას იბრძოლონ უკეთესი მომავლისათვის, მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისათვის, გამალებული შეიარაღების, უმუშევრობის, გაძლიერებული კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის და სხვ.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში, მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას —სოციალისტებს, კომუნისტებს, კათოლიკეებს, პროტესტანტებს, როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული ახალგაზრდობის ყველა ფენას ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ 1 მაისის დღე იყოს მშრომელი ახალგაზრდობის ერთიანობის დღე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს იმ მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის უფრო მეტად გაფართოების დასაწყისი, რომელიც მოითხოვს მშვიდობის პაქტის დადებას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის.

# პრეზიდენტი ბერუტი გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან

**ბერლინი**, 25 აპრილი. (საკდესი). გუშინ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბოლესლავ ბერუტმა იმოგზაურა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მოსახლეობა გზაზე ყველგან ოვაციებით ეგებებოდა პრეზიდენტ ბერუტს.

ბერლინს დაბრუნების შემდეგ პრეზიდენტმა ბერუტმა კულტურის სახლში დარბაზობა გამართა პრეზიდენტ ვილჰელმ პიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პატივსაცემად.

საღამოს პრეზიდენტი ბერუტი ბერლინიდან გაემგზავრა. აღმოსავლეთის ვაგზალთან გაიმართა მიტინგი, რომელზეც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ბერუტს ვიზიტისათვის და განაცხადა, რომ ამ ვიზიტს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

პრეზიდენტმა ბერუტმა მადლობა გადაუხადა ბერლინის მცხოვრებლებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს, აგრეთვე მშვიდობისათვის ყველა მებრძოლს გულითადი მიღებისათვის და უსურვა მათ მეტი წარმატებანი შრომასა და გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. ი. ბ. სტალინის, ბერუტისა და პიკის პატივსაცემ აღფრთოვანებულ შეძახილებში პრეზიდენტმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა გამოსვლა:

„გაუმარჯოს მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ, ერთიან გერმანიას! გაუმარჯოს გერმანია-პოლონეთის მეგობრობას! გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს!“

# საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**პარიზი**, 25 აპრილი. (საკდესი). დღეს ქალაქ მონტრეიში (პარიზის მახლობლად) გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ოგიუსტ ლეკერმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „ბრძოლა მშვიდობის დასაცავად“.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

# დამნაშავენი დაისაჯნენ

რედაქციაში შემოსული იყო მამხილებელი წერილები, რომლებშიც აღნიშნული იყო სოფელ ქვენობნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ამხ. ს. მეფარიშვილის მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების ფაქტები და რაიონის სახალხო მოსამართლის ამხ. ვ. ტაბიძის, საჯამიასერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. კვინტრაძის და საბჭოს მდივნის ამხ. ნ. ხუნდაძის უკანონო მოქმედება.

რედაქციამ საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომთან ერთად ადგილზე შეამოწმა ამ წერილებში მოყვანილი ფაქტები. გამოირკვა, რომ ამხ. ს. მეფარიშვილმა სოფელ ქვენობნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ მუშაობის დროს არ მიიღო სათანადო ზომები არტელის წესდების დამახინჯებათა აღსაკვეთად და ვერ უზრუნველყო ამ საკითხზე რაიკომის დადგენილების მთლიანად განხორციელება. კოლმეურნეობის ბუხჰალტერი გოგიბერიძე საანგარიშო დარგში დაშვებული დარღვევებისათვის უნდა მოეხსნათ სამუშაოდან. ამის ნაცვლად ის კვლავ განაგრძობდა მუშაობას. ამხ. მეფარიშვილი არღვევდა საკოლმეურნეო დემოკრატიას, თვითნებურად წყვეტდა მრავალ საკითხს. 1950 წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გამოუმუშავებლობისათვის ამხ. მეფარიშვილმა შეუმოწმებლად სასამართლო პასუხისგებაში მისცა კოლმეურნე, სამამულო ომის ინვალიდი ამხ. ი. სიხარულიძე.

რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. ტაბიძემ არასწორად დასაჯა სამართალში მიცემული ი. სიხარულიძე. მისი თავმჯდომარეობით სახალხო სასამართლომ სიხარულიძეს ჯერ იძულებითი მუშაობა მიუსაჯა, ხოლო შემდეგ სასჯელის მოუხდელობის გამო ერთი თვისა და ოცი დღის პატიმრობის განაჩენი გამოუტანა. ამხ. ტაბიძემ სოფელ ქვენობნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის 5 წევრის საქმე ისე განიხილა, რომ პროცესზე არც მომჩივანი ესწრებოდა და არც მოპასუხენი.

საჯამიასერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანს ამხ. ნ. ხუნდაძეს კომლთა სიაში შეჰქონდა ისეთი პირები, რომლებიც სოფლად არ ცხოვრობდნენ და ამიტომ არც საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელობის უფლება ჰქონდათ. მანვე სასოფლო კლუბისათვის განკუთვნილი 1.600 მანეთი არადანიშნულებისამებრ გამოიყენა, ხოლო სოფლის კოოპერატივის ბუხჰალტერმა ამხ. სხვიტარიძემ ხელი შეუწყო მას ფიქტიური ანგარიშების შედგენაში. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. კვინტრაძემ ვერ გაუწია კონტროლი კლუბის ინვენტარის შესაძენად განკუთვნილი თანხის სწორად გამოყენებას, საკომლო წიგნის წარმოება მთლიანად მიანდო მდივანს.

პარტიის ჩოხატაურის რაიკომის ბიურომ განიხილა მამხილებელ წერილებში აღნიშნული ფაქტების შემოწმების შედეგები, ამხ. ს. მეფარიშვილს და ვ. ტაბიძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო საჯამიასერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. კვინტრაძეს გამოუცხადა საყვედური. სასოფლო საბჭოს მდივანი ნ. ხუნდაძე მოხსნილია სამუშაოდან, სოფლის კოოპერატივის ბუხჰალტერი სხვიტარიძე მოიხსნა სამუშაოდან და მიცემულია სასამართლო პასუხისგებაში.

# რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი სეზონისათვის ემზადება

**რუსთავი.** (საკ. კორ.). კულტურისა და დასვენების პარკში გაცხოველებული მზადებაა სეზონისათვის. უკვე დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოები, აგებენ ცენტრალურ შესასვლელს, სარწყავ წყალგაყვანილობას, აწყობენ სასმელი წყლის შადრევნებს და ახალ სკამებს. მიმდინარეობს პავილიონების, ფარდულების, საცეკვაო და ფიზკულტურული მოედნების მშენებლობა და რემონტი.

ქალაქის სამშენებლო დაწესებულებებს გადაწყვეტილი აქვთ დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ დაკისრებული სამუშაოები, რათა რუსთავის მცხოვრებლებს შესაძლებლობა მიეცეთ მაღალნაყოფიერი შრომის შემდეგ კულტურულად დაისვენონ.

# ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი

**პარიზი**, 25 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარ თათბირს, რომელიც მოწვეულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგის შესამუშავებლად, თავმჯდომარეობდა საფრანგეთის წარმომადგენელი პაროდი.

საფრანგეთის მემარჯვენე პრესა უკანასკნელ დროს დუმს თათბირის მსვლელობის შესახებ მიუხედავად იმისა, რომ ამ თათბირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისათვის. იმდენად, რამდენადაც ეს პრესა აშუქებს მუშაობის მსვლელობას, იგი სხვადასხვა კილოზე ლაპარაკობს „ჩიხის“, „ერთი და იმავე ადგილის ტკეპნის“, „წრეში სიარულის“ შესახებ და გამოთქვამს სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო, მოსაზრებას თათბირის შესაძლებელი შედეგების შესახებ. მაგრამ ამ გაზეთებში ამაოდ დაუწყებდით ძებნას იმის მიზეზების ოდნავ მაინც კეთილსინდისიერ ანალიზს, თუ დღემდე რატომ არ შეასრულა თათბირმა თავისი ამოცანა, რათა შესაძლებლობა მიეცა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის შეკრებილიყვნენ და განეხილათ მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მომწიფებული პრობლემები. რეაქციული პრესა თავს არიდებს ასეთ ანალიზს, იმიტომ რომ ამ ანალიზს დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებისათვის ხელსაყრელი დასკვნები არ მოჰყვებოდა, გამოაშკარავდებოდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგის შესახებ შეთანხმება დღემდე არ არის მიღწეული მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს, ეტყობა, არა სურთ ასეთი შეთანხმება.

დღევანდელ სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. გრომიკომ, უპასუხა რა დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა გამოსვლებს წინანდელ სხდომაზე, თქვა:

— ცნობილია, რომ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები დაჟინებით იცავენ თავიანთ ბუნდოვან ფორმულირებას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხზე და არ იღებენ საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილ ფორმულირებას. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნავს ამ საბუთების სრული უსაფუძვლობა და უნიადაგობა, რომლებიც სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებს მოჰყავთ თავიანთი ფორმულირების დასაცავად, აგრეთვე ამ პუნქტის საბჭოთა ფორმულირების გასაკრიტიკებლად. როგორც ჩანს, რაკი გრძნობს სამი სახელმწიფოს პოზიციის სისუსტეს ამ პუნქტში, რომელიც შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას ეხება, პაროდიმ გადაწყვიტა სინჯოს ახალი მეთოდი, რათა სახელი გაუტეხოს საერთოდ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების იდეას. მან აიღო და მოიყვანა ციტატი საბჭოთა კავშირში გამოცემული ცნობილი ნაშრომიდან—„დიპლომატიის ისტორიიდან“.

ამ წიგნში მართლაც არის პაროდის მიერ მოყვანილი შემდეგი ფრაზა: „განიარაღების იდეა ოდითგანვე იყო ამ მთავრობათა ნამდვილი მოტივებისა და გეგმების დიპლომატიური შენიღბვის ყველაზე საყვარელი ფორმა, რომლებსაც ასე უეცრად იწვევა ხოლმე „მშვიდობისმოყვარეობა“.

მაგრამ პაროდიმ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ფრაზას, რომელიც მან მოიყვანა, შეიცავს ის კარი, რომელსაც ეწოდება „ბურჟუაზიული დიპლომატიის ხერხების შესახებ“. დიპლომატიაც არის და დიპლომატიაც. არის საბჭოთა სახელმწიფოს დიპლომატია და არის ბურჟუაზიული დიპლომატია. საბჭოთა სახელმწიფოს დასამალავი არაფერი აქვს, ვინაიდან წინადადებანი მშვიდობის შესახებ, მშვიდობის განმტკიცების შესახებ შეესაბამებიან საბჭოთა ხალხის ძირითად ინტერესებს, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს. პაროდის უნდა სცოდნოდა, რომ დასახელებული წიგნის იმავე კარში სათაურით „ბურჟუაზიული დიპლომატიის ხერხების შესახებ“ მოყვანილია კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ იმ დებულების სისწორეს, რომ ბურჟუაზიული დიპლომატია მიმართავს ხალხთა მოტყუებას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების იდეასთან დაკავშირებითაც.

— პირველი ილუსტრაცია, რომელიც, ცხადია, პაროდიმ ვერ შენიშნა,—თქვა გრომიკომ,—ასეთია: ნაპოლეონ მესამემ წინადადება წამოაყენა მოეწვიათ შეიარაღების შემცირების კონფერენცია და ამ საკითხზე მიმართა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ სტენლის. რით იყო ეს გამოწვეული? იქნებ მართლაც იმ სურვილით, რომ განეხორციელებინა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების გეგმა? სრულიადაც არა. ნაპოლეონ მესამის ეს წინადადება გამოწვეული იყო პრუსიის გაძლიერებით ავსტრიაზე მის გამარჯვებასთან დაკავშირებით და 1867 წელს ეგრეთწოდებული ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის შექმნით. რა უპასუხა ამ მიმართვაზე ინგლისმა? იგი სრულიადაც არ აღგზნებულა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ამ იდეისადმი სიყვარულით. ინგლისის დიპლომატიამ მაშინ გამოიყენა შენიღბვის მეთოდი. იგი არ იყო წინააღმდეგი ორი კონტინენტური სახელმწიფოს—პრუსიისა და საფრანგეთის შეტაკებისა. ამიტომ შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ წინადადებიდან არაფერი გამოვიდა. ინგლისისადმი ნაპოლეონ მესამის ამ მიმართვის სამი წლის შემდეგ პრუსიის ჯარები საფრანგეთში შეიჭრნენ.

მოგაგონებთ, თქვა გრომიკომ, მეორე ილუსტრაციასაც, რომელიც მოყვანილია „დიპლომატიის ისტორიის“ ამავე კარში და რომელიც აგრეთვე ვერ შენიშნა პაროდიმ: რუსეთის მეფის მთავრობის ინიციატივით მოწვეულ იქნა შეიარაღების შემცირების ორი კონფერენცია—1899 და 1907 წლებში. ასე მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სერიოზულად არავის სჯეროდა რუსეთის ცარიზმის დაინტერესებულობა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებით. როცა ეს კონფერენციები მოწვეულ იქნა, გამოირკვა, რომ არც ერთი მათი მონაწილე — არც მეფის რუსეთი, არც გერმანია, არც ინგლი- [illegible]

შეიძლება არ მოეყვანა ამონაწერი ინსტრუქციიდან, რაც მაშინ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა მისცა თავის დელეგატს მეორე კონფერენციაზე, რომელიც 1907 წელს გაიმართა, რადგან ინსტრუქციის ეს ამონაწერი ერთგვარად ემთხვევა იმას, რაც ამჟამად ხდება. აი რა იყო ნათქვამი ამ საკმაოდ საინტერესო ინსტრუქციაში: „გერმანიის, როგორც სამხედრო და საზღვაო სახელმწიფოს მდგომარეობა ისეთია, რომ არ შეიძლება სერიოზული იყოს არც ერთი ისეთი საკითხის განხილვა, რომელშიც იგი არ მიიღებს მონაწილეობას... მაგრამ ბრიტანეთის მთავრობას მიაჩნია, რომ მაინც სჯობს მოხდეს ასეთი განხილვა, ვიდრე სრულიად არ მოხდეს, თუნდაც მას არ მოჰყვეს დამაკმაყოფილებელი შედეგი“. მოგაგონებთ, რომ ეს კონფერენცია ცარიელ ლაყბობად გადაიქცა.

ამრიგად, ხაზგასმით აღნიშნა გრომიკომ, „დიპლომატიის ისტორიაში“ ნათქვამია რაღაც სხვა და არა ის, რაზედაც აქ პაროდი ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, მას ამ ნაშრომში სხვა არაფერი წაუკითხავს, გარდა მის მიერ მოყვანილი ციტატისა, ხოლო თუ წაიკითხა, ჯეროვნად ვერ გაუგია. ხოლო თუ პაროდიმ კიდეც წაიკითხა და კიდეც გაიგო, რაც წაიკითხა, მით უარესი მისთვის, რადგან საჭირო არ არის ფაქტების დამახინჯება, არამედ საჭიროა მათი წარმოდგენა ისე, როგორც ისინი ნამდვილად არის მოცემული. მე ვფიქრობ, რომ ვილაცამ იმათგან, ვისაც დავალებული აქვს ციტატების ამოწერა პაროდისათვის, შეცდომაში შეიყვანა იგი, ამოგლიჯა რა ციტატი კონტექსტიდან, რომელიც ეწინააღმდეგება პაროდის მიერ გაკეთებულ დასკვნას. ყოველ შემთხვევაში, ბ-ნმა პაროდიმ უფრო კარგად იცის, რა მოხდა, ვინ არის დამნაშავე.

მაგრამ ბ-ნმა პაროდიმ უნდა იცოდეს, რომ სწორედ სსრ კავშირი გამოდის შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ყალბი დეკლარაციებისა და ყალბი რეზოლუციების წინააღმდეგ. სსრ კავშირი იმის წინააღმდეგია, რომ გამოვიყენოთ ნაპოლეონ მესამის, გრეისა და ნიკოლოზ მეორის მეთოდები. ისინი ატყუებდნენ საზოგადოებრივ აზრს, ნამდვილად კი არ სურდათ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება, ხელმძღვანელობდნენ თავიანთი განსაკუთრებული ინტერესებით. სსრ კავშირი აგრეთვე იმის წინააღმდეგია, რომ გამოვიყენოთ ერთა ლიგის მეთოდები, რომელმაც სახელი გაიტეხა იმით, რომ ლიტონ რეზოლუციებს, ლიტონ დეკლარაციებს იღებდა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხზე. საბჭოთა კავშირი მაშინაც, როცა ერთა ლიგა განიარაღების საკითხს არჩევდა, და ამჟამადაც მხარს უჭერს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ნამდვილ შემცირებას, ამ ამოცანის განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებებს და წინააღმდეგია ლიტონი დეკლარაციებისა შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის დელეგაცია წინააღმდეგია სამი სახელმწიფოს წარმომადგენლების ფორმულირებისა ამ საკითხზე, რადგან ეს ფორმულირება გვეწევა უკან, ამ თემაზე ისეთი უნაყოფო ლაპარაკის ძველ გზაზე, რომელსაც საქმესთან საერთო არა აქვს რა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ახლანდელი პოზიცია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხში ახალი არ არის, რომ ანალოგიური პოზიცია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დაიკავეს უკვე დიდი ხნის წინათ, როცა წინააღმდეგობას უწევდნენ შეიარაღების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების პრინციპების შესახებ 1946 წლის 14 დეკემბერს მიღებული ცნობილი რეზოლუციის შესრულებას. გრომიკომ ცხადყო უსაფუძვლობა ჯესეპის ცდებისა — სადავო გახადოს ეს ფაქტი იმის დამოწმებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ „სხვა გადაწყვეტილებებიც“ მიიღო ამ საკითხზე ხმის უმრავლესობით.

— ჯესეპმა კარგად იცის,—თქვა გრომიკომ,—განსხვავება 1946 წლის 14 დეკემბერს ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდგომ „გადაწყვეტილებებს“ შორის, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავს მოახვია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და რომლებსაც საბჭოთა კავშირი არ მიმხრობია. ჯესეპს უნდა სცოდნოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, თავს ახვევდა რა ამ რეზოლუციებს, ისახავდა გამალებული შეიარაღების თავისი გეგმების შესაბამის მიზნებს. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ყოველივე შესაძლებელი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩაეფუშათ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებული იყო გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციით. და ახლაც დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები ყველაფერს იყენებენ იმისათვის, რომ ჩაფუშონ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის განხილვა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ. მთელი მსოფლიოს ხალხები, რომლებიც უღრესად დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით, მოითხოვენ არა ლაპარაკს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების თემაზე, არამედ ამ ამოცანის შესრულების პრაქტიკულ ღონისძიებათა ნამდვილად განხორციელებას. სწორედ იმისათვის, რომ პრაქტიკულ ნიადაგზე დაეყენებინა ამ საკითხის განხილვა, საბჭოთა მთავრობამ შემოიტანა წინადადება განხილულ იქნას ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხი, დაეთმოს ამ საკითხს დღის წესრიგში ის ადგილი, რომელიც მის მნიშვნელობას შეეფერება.

შეეხო რა პაროდის საპასუხო ცდებს წინა სხდომაზე — გაემართლებინა დასავლეთის სახელმწიფოების გამალებული შეიარაღების პოლიტიკა ცრუ განცხადებებით იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობას თითქოს „არავითარი ღონისძიება არ უხმარია, რათა ხელი შეეწყო კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის“, გრომიკომ თქვა:

— ცხადია, პაროდი თავის გამოსვლამდე არ გასცნობია ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს ამ საკითხზე. კარგად ცნობილია, რომ ინგლისის ელჩს სსრ კავშირში კელს 1950 წელს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში [illegible] კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა ამ საუბრის შესახებ. კელის განუცხადებს: კორეაში შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების საუკეთესო საშუალება ის იქნება, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას უშიშროების საბჭოში, რასაკვირველია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის მონაწილეობით. რა უპასუხა ამაზე ინგლისის წარმომადგენელმა? მან უპასუხა, ეს „წინწარბენა“ იქნებაო. ამრიგად, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ — ამერიკის შეერთებული შტატების და, შესაძლოა, საფრანგეთის მთავრობის დასტურითაც, უარყო კორეაში შექმნილი მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ მაშინ სსრ კავშირის მთავრობის მიერ შეტანილი წინადადება.

პაროდიმ არ შეიძლება არ იცოდეს ის ფაქტიც, რომ უფრო გვიან საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გენერალისიმუსმა სტალინმა და ინდოეთის პრემიერმა ნერუმ ერთმანეთს გაუგზავნეს დეპეშები, რომლებშიც დასმული იყო კორეაში შექმნილი მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი. მაგრამ ეს მშვიდობიანი მოწესრიგება ჩაშალეს იმათ, ვინც კორეაში ინტერვენცია დაიწყო. ამერიკის შეერთებული შტატების და იმ ქვეყნების მთავრობებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს კორეაში ამერიკის ინტერვენციას, უარყვეს მთელი რიგი სხვა წინადადებებიც კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

— უკვე რამდენჯერ ხდება,—თქვა შემდეგ გრომიკომ,—რომ პაროდი ხან ბუნდოვნად, ხან უფრო გარკვევით გადაკრულად ამბობს, რომ კორეის ამბების მსვლელობისათვის პასუხისმგებლობა თითქოს ეკისრება საბჭოთა მთავრობას. შეიძლება პაროდი მართალი ყოფილიყო, კორეაში რომ საბჭოთა ჯარები მოქმედებდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, კორეაში არიან არა საბჭოთა, არამედ ამერიკის ჯარები, რომლებიც აგრესიას ახორციელებენ. აგრეთვე ცნობილია, რომ ამერიკის სამხედრო სარდლობის განკარგულებაში არიან ინგლისის, საფრანგეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის—ინგლის-ამერიკის სატელიტების სამხედრო კონტინგენტები. ყოველგვარი იმ განცხადების უაზრობას, თითქოს საბჭოთა კავშირს ეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა კორეაში შექმნილი მდგომარეობისათვის, ფაქტები და დოკუმენტები მოწმობენ. საბჭოთა მთავრობამ ცხადყო, რომ სრულიად უნიადაგოა განცხადებანი კორეის ამბებისათვის საბჭოთა კავშირის პასუხისმგებლობის შესახებ. სსრ კავშირის მთავრობამ დაამტკიცა, რომ ამ ამბებისათვის პასუხისმგებელი არიან ისინი, ვინც მოაწყო აგრესია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ვინც, ისწრაფვის რა ამერიკის სამხედრო ბაზად გადააქციოს კორეა, სასაკლაო მოაწყო იქ არა მარტო ამერიკელი, არამედ ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცებისთვისაც.

კორეელთა შეუპოვრობა, თავდადება თავით ფეხამდე შეიარაღებული ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში იმით აიხსნება, რომ კორეელი ხალხი იცავს თავის ქვეყანას, თავის მშობლიურ მიწა-წყალს უცხოელთა აგრესიისაგან. ასეთ თავდადებას წარმოშობს თავისი სამშობლოს სიყვარული. და თუ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებს აწუხებს კორეის მდგომარეობა, დაე მათ გამოიყენონ ასეთი შეწუხების მიზეზის აღმოსაფხვრელი ერთადერთი საშუალება, სახელდობრ—კორეიდან შინ წაიყვანონ.

შეეხო რა სამი სახელმწიფოს დელეგაციების მოსაზრებებს სსრ კავშირის დელეგაციის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას ატლანტიკის პაქტისა და სხვადასხვა ქვეყანაში ამერიკის სამხედრო ბაზების საკითხი, გრომიკომ მოაგონა დამსწრეთ, რომ საბჭოთა დელეგაციამ უკვე მოიყვანა შესაბამისი მოსაზრებანი თავისი წინადადების დასაცავად და ცხადყო, რომ ამერიკის სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე იქმნება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

ილუსტრაციისათვის, რომელიც ცხადყოფს ამ დასკვნის სისწორეს, თქვა გრომიკომ, ჩვენ აღვნიშნეთ ჩერჩილის მიერ ამა წლის 19 აპრილს თემთა პალატაში გაკეთებული უკანასკნელი განცხადება. როგორც ცნობილია, ჩერჩილმა შემდეგი განაცხადა: „ჩვენ მზად უნდა ვიყოთ და სიხარულით გავუწიოთ სტუმართმოყვარეობა ჩვენს ამერიკელ მოკავშირეებს და ამხანაგებს ჩვენს ცნობილ და სასიცოცხლო მნიშვნელობის ბაზებზე ხმელთაშუა ზღვაში: გიბრალტარზე, მალტაზე და, შესაძლოა, კვიპროსზეც. მე ვამჯობინებდი, რომ ინგლისის ბაზა აღმოსავლეთ ინგლისში, რომელიც განკუთვნილია შეტევითი ატომური ომისათვის, არ ყოფილიყო ერთადერთი ამგვარი დიდი ფაქტორი“.

შესაძლოა სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები თანახმა არიან გაემიჯნონ ჩვენს თათბირზე ჩერჩილის ამ აგრესიულ, კაციჭამიურ განცხადებას, ჩერჩილისა, რომელიც ატომურ იარაღს აჩხარუნებს და მოუწოდებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ატომური ომისაკენ? ჯერჯერობით ამის მსგავსი არაფერი მომხდარა! პირიქით, ისინი აშკარად იცავენ ჩერჩილს.

— პაროდის ცდები,—განაგრძო გრომიკომ,— „სიტყვის თავისუფლების“ დამოწმებით გაამართლოს ასეთი დანაშაულებრივი მოწოდებანი, ჩვენ უსაფუძვლო და აშკარა ყალბ ცდებად მიგვაჩნია. ჩერჩილებისა და მათ მსგავსთა დანაშაულებრივ გეგმებს ჩვენ დანაშაულებრივ გეგმებს ვუწოდებთ, აგრესიულ გეგმებს აგრესიულ გეგმებს ვუწოდებთ და მიგვაჩნია, რომ ჩვენი თათბირი აგრეთვე შესაფერისი ადგილია, რათა ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ ჩერჩილის განცხადებათა მსგავსი განცხადებანი დაუშვებელია საბჭოთა კავშირის მიმართ.

— განა გასაკვირველია, რომ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა დევისმა აშკარად დაიცვა ჩერჩილის განცხადება? არა. ეს არ არის გასაკვირველი, რადგან დიდი ბრიტანეთის მთავრობა საბჭოთა კავშირის მიმართ იმავე გზას ადგას, რომელზეც ჩერჩილი თემთა პალატის ტრიბუნიდან ლაპარაკობს. დიდი ბრიტანეთის მთავრობა იმავე გეგმებს ახორციელებს, რომლებზეც ჯესეპმა ილაპარაკა, — რაც შეიძლება მეტი იყოს ამერიკის სამხედრო ბაზები, მეტი იყოს ატომური ბომბები, მეტი იყოს ბომბდამშენი, მეტი იყოს საერთოდ იარაღი. ჩერჩილს, ამერიკის სამხედრო ბაზებზე რომ ლაპარაკობდა, არ დაუფარავს, რომ ეს ბაზები იქმნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციებისათვის. დევისი ცდილობდა ცოტა შეელამაზებინა ჩერჩილის განცხადება, შეეფერადებინა, ცოტა ფერ-უმარილი წაეცხო, საქმე ისე დაესახა, რომ ჩერჩილი თითქოს მხოლოდ „თავდაცვაზე“ ლაპარაკობდა და არა აგრესიაზე. მაგრამ რით განსხვავდება ჩერჩილის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ თვითკმაყოფილ, თავმომწონე პოლიტიკოსთა განცხადებათაგან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „პრევენტიული ომის“ შესახებ? რით განსხვავდება ჩერჩილის ეს განცხადება მის ოკეანესგაღმელ მეგობართა ასეთივე განცხადებებისაგან? არაფრით. ჩერჩილის ენა ჰიტლერის ენაა. როგორ შეუძლია ამ პირობებში დევისს ამტკიცოს ამ თათბირზე, რომ ეს განცხადება გულისხმობს „თავდაცვით მოქმედებას“? როგორ შეუძლია დევისს დაიცვას ჩერჩილის განცხადება, რომელიც შეიცავს ცინიკურ მოწოდებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ატომური ომის გაჩაღებისაკენ?

— შეიძლება ჩვენი განცხადება ზოგ ვინმეს არ ესიამოვნება, მათ შორის დევისსაც, მაგრამ ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ჩერჩილის ასეთ განცხადებებს და მის დამცველთა განცხადებებს. იქნებ ჩერჩილების ასეთი განცხადებანი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილის მაჩვენებელია?

— მე საჭიროდ მივიჩნიე,—თქვა დასასრულ გრომიკომ,—ეს ზოგადი შენიშვნები გამეკეთებინა იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც წინა სხდომაზე გააკეთეს დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით პაროდიმ და დევისმა, რომლებმაც დაიცვეს ჩერჩილის განცხადება თემთა პალატაში.

• • •

დევისმა და პაროდიმ სცადეს ხელი შეეშალათ გრომიკოსათვის დაემთავრებინა სიტყვა. პაროდიმ ცინიკურად განაცხადა, რომ მას, როგორც თავმჯდომარეს, სურს, რათა სხდომაზე არ წარმოითქვას „შეურაცხმყოფელი სიტყვები ჩერჩილის მიმართ, რომლის წინაშე ჩვენ ქედს ვიხრით“, და ისიც კი განაცხადა, შეიძლება აღარ განვაგრძოთ სხდომა, თუ სსრ კავშირის წარმომადგენელმა კვლავ ასე ილაპარაკაო.

ამის თაობაზე გრომიკომ განაცხადა: საბჭოთა დელეგაცია, თუ საჭირო გახდა, ზოგი ვინმესთვის, მათ შორის დევისისთვისაც, უფრო ნაკლებ სასიამოვნო რამეებს იტყვის, რადგან საბჭოთა დელეგაციას ის კი არა აქვს მხედველობაში, თუ რა სიამოვნებას ან უსიამოვნებას აყენებს საბჭოთა დელეგაციის განცხადება ამა თუ იმ მთავრობას, არამედ მას მხედველობაში აქვს სხვა მოსაზრებანი, რომლებსაც მშვიდობის ინტერესები გვიკარნახებენ. ის ფაქტი, ამბობს გრომიკო, რომ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები ნერვიულობენ, მხოლოდ იმას ცხადყოფს, რომ მათ, აშკარაა, თვითონ ესმით თავიანთი პოზიციის სიყალბე და მერყეობა.

ჯესეპმა, დევისსა და პაროდის არსებითად არაფერი უთქვამთ გრომიკოს სიტყვის გამო.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 25 აპრილი (საქდესი). დღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობენ გაფთრებულ ბრძოლებს ინტერვენციონისტული ჯარების წინააღმდეგ.

24 აპრილის ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ; ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 924 ჯარისკაცი და ოფიცერი; წამოღებულია სხვადასხვა კალიბრის 52 ქვემეხი, 97 ავტომანქანა, ბევრი მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 1.080 შაშხანა და სხვა დავლა.

24 აპრილს ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი.

## ცენტრალური და სამხრეთ ჩინეთის სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტის მესამე სესია

**პეკინი**, 26 აპრილი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, 9-დან 16 აპრილამდე მიმდინარეობდა ცენტრალური და სამხრეთ ჩინეთის სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტის მესამე სესია. კონფერენციაზე განხილულ იქნა ახლანდელი პერიოდის სამი ძირითადი საკითხი: პატრიოტული მოძრაობა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისა და კორეისადმი დახმარების გაწევისათვის, აგრარული რეფორმა და მუშაობა კონტრრევოლუციური საქმიანობის ჩასახშობად.

არასრული ცნობებით, ექვსი თვის განმავლობაში ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში გაიმართა 9.600 მასობრივი მიტინგი და საპროტესტო დემონსტრაცია ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 25 მილიონამდე კაცმა. გარდა ამისა, ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში გაიმართა 53 ათასზე მეტი კრება და კონფერენცია, რომელთა მონაწილენი დამსწრეთ უამბობდნენ იაპონელი იმპერიალისტების ბოროტმოქმედებაზე იაპონია-ჩინეთის ომის დროს და იხილავდნენ მიმდინარე ამბებს. ამ კრებებსა და კონფერენციებს დაესწრო 16.200 ათასზე მეტი კაცი. ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში ჩინელი ხალხის პატრიოტულ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ ჯგუფების 450 ათასზე მეტი წევრი, რომლებიც ახსნა-განმარტებითი მუშაობას ეწევიან, 46 ათასი მომხსენებელი და ლექტორი.

1950 წლის ოქტომბრიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე აგრარული რეფორმა ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში ძირითადად ხორციელდებოდა ცდის წესით. 1950 წლის შუა ნოემბრიდან დეკემბრის შუა რიცხვებამდე აგრარული რეფორმა განხორციელდა ცენტრალური და სამხრეთ ჩინეთის მთავარ რაიონებში. უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში რეფორმა განხორციელდა ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობა შეადგენს 50 მილიონს. რაიონებში, სადაც აგრარული რეფორმა დამთავრებულია, მემამულეებს ჩამოერთვათ და გლეხებს გადაეცათ ამ რაიონებში არსებული დასამუშავებლად ვარგისი მთელი მიწის 30-დან 50-მდე პროცენტი (ხენანის პროვინციაში თვითეულმა გლეხმა მიიღო 2-დან 3-მდე მუ მიწა. 1 მუ უდრის 1/16 ჰექტარს), ხუბეისა და ხენანის პროვინციებში თვითეულმა გლეხმა მიიღო 1-დან 2,5-მდე მუ მიწა. 1952 წლის გაზაფხულისთვის აგრარული რეფორმა განხორციელებული იქნება რაიონებში, რომელთა მოსახლეობა კიდევ 50 მილიონ კაცს შეადგენს. დანარჩენ რაიონებში, სადაც 20 მილიონი კაცი ცხოვრობს, აგრარული რეფორმა დამთავრდება 1952-1953 წლების ზამთარში.

ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში აქტიური ბრძოლა წარმოებდა გომინდანის აგენტების კონტრრევოლუციური ელემენტების ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ.

## 3.500 ათასმა ბულგარელმა მოქალაქემ ხელი მოაწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას

**სოფია**, 25 აპრილი. (საქდესი). მთელ ბულგარეთში განსაკუთრებული აღმავლობით გრძელდება მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება.

როგორც ბულგარეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტი იუწყება, 25 აპრილისათვის მიმართვას ხელი მოაწერა 3.500 ათასამდე ბულგარელმა მოქალაქემ.

## დეგოლელთა ბანდიტური თავდასხმა საფრანგეთის კომპარტიის სექციების შენობებზე

**პარიზი**, 25 აპრილი. (საქდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ წუხელ ხელის ტყვიამფრქვევებით, რევოლვერებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ფაშისტთა დამქაშები ფრანგი ხალხის გაერთიანების პარტიიდან (დეგოლელები) თავს დაესხნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორი სექციის შენობას ქალაქ ნიცაში, სადაც სერიოზულად დაჭრეს სამი კომუნისტი. ერთ-ერთი დაჭრილი — სტამბის მუშა ბარტენი ჰოსპიტალში გაიგზავნა.

დეგოლელთა ამ თავხედური გამოხდომით აღშფოთებულმა ნიცის მშრომელებმა გამართეს დემონსტრაცია და მოაწყეს საპროტესტო მიტინგები, რომლებზეც მოითხოვეს ფრანგი ხალხის გაერთიანების პარტიის შეიარაღებული ჯგუფების დაშლა.

ანალოგიური მოთხოვნები წამოაყენეს მრავალი საწარმოს მშრომელებმა, რომლებმაც მუშაობა შეწყვიტეს ნიშნად პროტესტისა დეგოლელების თავხედური პროვოკაციის წინააღმდეგ.

## გაფიცვები ინგლისში

**ლონდონი**, 25 აპრილი. (საქდესი). 19 აპრილს „კედბერი ბრაზერს ლიმიტედის“ კომპანიის ბირმინგამის შოკოლადის ფაბრიკის 3.500 მუშა გაიფიცა ნიშნად პროტესტისა შრომის ანაზღაურების იმ ახალი სისტემის შემოღების წინააღმდეგ, რომელიც მუშათა ინტერესების შემლახველია. პრესის ცნობებით, გუშინ დღის ცვლის მუშები მიემხრნენ გაფიცულებს, ხოლო შემდეგ გაიფიცნენ ღამის ცვლის მუშები. ამჟამად გაფიცვაში მონაწილეობს ამ ფაბრიკის 6.000-ზე მეტი მუშა. სულ ფაბრიკაში 8,5 ათასი მუშაა.

## ამერიკის საავიაციო ბაზების მშენებლობა საფრანგეთში

**პარიზი**, 26 აპრილი. (საქდესი). იმოწმებს რა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტის ინფორმაციას, გაზეთი „მონდი“ დღეს იუწყება, რომ საფრანგეთში შენდება ამერიკის 25 საავიაციო ბაზა.

## ომის ისტერია ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ვაშინგტონი**, 24 აპრილი. (საქდესი). სენატმა 45 ხმის უმეტესობით 39 ხმის წინააღმდეგ უარყო ვაშინგტონიდან მთავრობის დაწესებულებათა გადაყვანის კანონპროექტი.

კანონპროექტი ითვალისწინებდა 107 მილიონი დოლარის ასიგნებას ვაშინგტონის ფარგლებს გარეთ ახალი შენობების აგებისა და ახალ რაიონში მთავრობის 25 ათასამდე მოსამსახურის გადასახლებისათვის.

უმრავლესობის ლიდერმა მაკფარლანდმა სცადა დაეშინებინა სენატი და მიეღწია კანონპროექტის მოწონებისათვის. მან დახატა მთავრობის მოსამსახურეთა დაღუპვის „საშინელი“ სურათი ომის შემთხვევაში და განაცხადა, თუ კანონპროექტი მოწონებულ არ იქნა, ამ ადამიანთა სიკვდილისათვის „პასუხს სენატი აგებსო“. დემოკრატი მაკმაგონი ირწმუნებოდა, თუ ომი დაიწყო, დაბომბვის პირველი ობიექტი ვაშინგტონი იქნებაო.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**28 აპრილს**

6.45 — შოსტაკოვიჩის სიმღერები. 9.20 — უნგრული და პოლონური სიმღერები. 18.10 — რუს კომპოზიტორთა რომანსები. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით— გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — კონცერტი რადიოკომიტეტის სოლისტის ე. წვერავას შესრულებით. 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.10 — ექიმის საუბარი: გულის ანგინა. 21.30 — არიები ქართული ოპერებიდან რადიოკომიტეტის სოლისტის ლ. დევდარიანის შესრულებით. 21.55— აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტი. 22.40 — ლიტერატურული გადაცემა. 23.00 — კონცერტი ელ. გოსტენინის და ან. ჩაკალიდის შესრულებით.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის არსებობის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საბალეტო საღამო; **რუსთაველის სახელობის**—„ოტელო“; **მარჯანიშვილის სახელობის** — „რომეო და ჯულიეტა“; **გრიბოედოვის სახელობის** — „ბრძოლა სიცოცხლისათვის“ (23-ე აბ.); **სომხური დრამის** —„ძველი ავადმყოფობა“; **მუსიკალური კომედიის** — „შეხვედრა აგარაკზე“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„გამოქცევა“ (52-ე აბ. 10 საათზე); **სანკულტურის** — „შეხვედრა დღეობაზე“; **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.


საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მუსიკალურ სკოლებში და სტუდიაში 1951-52 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

სკოლებში — საფორტეპიანო კლასი, საორკესტრო (სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტი), მუსიკალურ სტუდიაში—საფორტეპიანო, საორკესტრო და ვოკალური კლასები.

განცხადების მიღება სწარმოებს 15 მაისამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 20-დან 30 მაისამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლების სასწავლო ნაწილ-ს სამდივნოში შემდეგი მისამართით:

| | | |
|---|---|---|
| 1 მუსიკალური სკოლა — | ენგელსის, 14, | ტელეფონი 3-08-02 |
| მე-2 „ „ | პლეხანოვის პროსპ. 166, | ტელეფონი 3-13-46 |
| მე-4 „ „ | საბჭოს, 127, | ტელეფონი 3-60-21 |
| მე-5 „ „ | კოჯრის, 1, | ტელეფონი 3-63-45 |
| მე-6-7 „ „ | ზასულიჩის, 29, | ტელეფონი 3-07-98 |
| მე-8-9 „ „ | წილკანის, 3, | ტელეფონი 3-07-65 |
| მე-10 „ „ | კრენკელის 4, | |
| მუსიკალური სტუდია | ათარბეგოვის, 38, | ტელეფონი 3-46-48 |


გ. ცქიმანაური, გ. გეგშიანი, ი. ვადაჭკორია, ე. ნემსაძე, ი. ლეინჯილია, ვ. ხუხია იუწყებიან პროფესორ **ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ფიდოსია ოჯახით იუწყება **ლავრენტი დუტუს-ძე ნინუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-IV სოფ. ზემო ბარღებში (გალის რ.).

მეუღლე ანა, შვილები რუსუდან, გიორგი, ვარლამ, და მარიამ იუწყებიან **ალექსანდრე ლეკბორაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IV ს. კარდანახში.

შვილი ნინო, სიძე ბეჟან, შვილიშვილი ლეილა გეგეჭკორები იუწყებიან **გრიგოლ მელქისედეკის-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-IV, 8 ს. გამოსვენება 28-IV, 6 ს. უფლისციხის, 2.

თბილისის საბჭოს აღმასკომის გაჯის მექანიზებული ქარხნის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ა. კაპაძეს მისი მამის **გიორგი ხაბას-ძე კაპაძის** გარდაცვალების გამო.

ტ. ხაბურზანია, მ. ჩხეტია, ლ. ფიჩხაია, თ. გოგია, ქ. მელაძე, ნ. ალშიბაია, თ. საბახტარიშვილი, რ. ხვიტია, ლ. ჯანაშია, რ. ჯიქია, გ. ნაჭყებია, გ. ბასილაია თანაგრძნობას უცხადებენ ა. ჩიხლაძეს მისი დედის **პარასკევა ხვიჩია-ჩიხლაძის** გარდაცვალების გამო.

თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლ. ლოლობერიძეს მისი დის **ლიუდმილა ვლადიმერის ასულ ლოლობერიძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 28-IV პატარა ჯიხაიშში (წულუკიძის რ.).

მამა მიშა, მეუღლე ლილი, შვილი საშა, დები ცაცა, მედეა, ძმა გივი, სიძე ნ. ქათამაძე, დისწული ლალი, სიდედრი კლარა თავაძე იუწყებიან, რომ 28-IV, 6 ს. ქუთაისში დანიშნულია **ალექსანდრე პეიშვილის** პანაშვიდი.

ვაკის მე-20 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია, პედკოლექტივი და ტექპერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ თ. ჩაჩუას მისი მამის **საბა ივანეს-ძე ჩაჩუას** გარდაცვალების გამო.

დები გაიანე, ცაცა, ნინო, ვერა, ზინა, ძმები უშანგი, გულა, რძლები ვერა, თინა, სიძეები გ. ჩიხლაძე, ა. ჭეიშვილი, ნ. ბოჭორიშვილი იუწყებიან, რომ 28-IV, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **მარო თედორეს ასულ კუზალაშვილის** პანაშვიდი.

თბილისის სამეანო სკოლის დირექცია, პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ მ. შარაშენიძე-ბარამიძეს მისი მამის **ივანე ბარამიძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ზუგდიდის აგურ-კრამიტის ქარხნის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ს. ჩიხლაძეს მისი დედის **პარასკევა პავლეს ასულ ჩიხლაძის** გარდაცვალების გამო.

ვარო ხეთაგური, კოტე, ვახტანგ მაზმლები, ეკატერინე ფალავანდიშვილი, ალექსი მინდაძე ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ ირაკლის-ძე ციციშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ერმონია, შვილები სონია, ზინა, კლიმენტი, ვენერა, ძმები მაქსიმე, აბესალომ ოჯახებით, სიძეები კ. რეხვიაშვილი, შ. ბიჭაშვილი, შვილიშვილები ნელი, გივი ლეო, ნათელა იუწყებიან **გიორგი ხარებაშვილის** გარდაცვალებას.

ბაბო, მაქრო, ტეტუნაშვილები შვილებით მარო და გიორგით იუწყებიან **კოტე გიორგის-ძე პერტიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-IV, 8 ს. გამოსვენება 28-IV, 5½ ს. ათარბეგოვის, 36.

თ. ტოგონიძე, გ. ჭირაქაძე, ლ. ნაკაშიძე, ა. ბარბაქაძე, ლ. გოგიტიძე, თ. მიქელაძე, ტ. პეტიძე, ქ. სიხარულიძე, შ. გეგეშიძე, შ. მოსეშვილი, ა. საკანდელიძე, რ. ზაალიშვილი იუწყებიან პროფესორ **ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის, ქ. № 14. უე 01583